# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 ივნისი 2006 №126 (2748) ფასი 50 თეთრი



ბაჟუნა კეთილაძის ფოტო

## ჩვენ უკვე ვიმეგობრეთ რუსებთან
# ვიმეგობროთ ბარბაროსებთან!







## ფინალი
### დალასი VS მაიამი
### ნოვიცკი VS ონილი

ამ უქმეებზე ნბა-ს პლეი ოფის ფინალისტები გამოვლინდნენ. დასავლეთში დირკ ნოვიცკის „დალასმა" სტივ ნეშის „ფინიქსი" 4:2 იმსხვერპლა და არსებობაში პირველად მიადგა საჩემპიონო სერიას. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ სეზონი დასრულდა ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილისთვისაც, ვინაც პლეი ოფში „ფინიქსის" ოთხ შეხვედრაში შვიდიოდ წუთი ითამაშა.

ფინალის ახალბედაა აღმოსავლეთის ჩემპიონი, შაკილ ონილის „მაიამიც", რომელმაც ასევე 4:2 აჯობა კონფერენციაში აქამდე სამი წლის დაუმარცხებელ „დეტროიტს".



ლეანდრო ბარბოსამ ნიკა ცქიტიშვილს შესტირა

## ზაზა ფაჩულიას თბილისური არდადეგები



### როლან გაროსი 2006
# პირველი განულდა
## გაიდიშოვამ ქალებს მორესმო მოაცილა





ბადრი ქათიაშვილის ფოტო

# უეფას თასამდე კალათ-ბურთია

**გუშინ,** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის შესვენებისას გაირკვა იმ კლუბების ვინაობა, რომლებმაც უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფეარ პლეისთვის გამოყოფილი სამი საგზური შეხვდათ. წინასწარვე ცნობილი იყო ერთი გამარჯვებულის ვინაობა — შვედური „გეფლე", დანარჩენი ორი კი კენჭისყრამ გაარკვია და საგზურები ნორვეგიულმა „ბრანმა" და ბელგიურმა „რუზელარემ" ირგუნეს.

კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე უნდა გარკვეულიყო, რომელ კალათაში განთესავდა უეფა ქართულ კლუბებს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. წინასწარი ინფორმაციით, განუთესავთა შორის მოხვედრა ერთ-ერთ ქართულ კლუბს ნებისმიერ შემთხვევაში ემუქრებოდა, მაგრამ ფეარ პლეის საგზურის მფლობელის დამატების შემთხვევაში საქართველოს მეორე წარმომადგენელსაც უსუსტესთა კალათაში მოუწევდა მოხვედრა.

ჯერჯერობით უეფას ოფიციალური წყაროებით არ გავრცელებულა ინფორმაცია, როგორ სახეს მიიღებს საბოლოოდ ცენტრალურ-აღმოსავლეთის ზონაში განთესილთა და განუთესავთა კალათები. კენჭისყრაში გამარჯვებულთაგან არც ერთს ცენტრალურ-აღმოსავლეთ ზონაში არ უწევს თამაში. ვინაიდან ფეარ პლეის საგზურით დაშვებული სამივე გუნდი ჩრდილოეთ ზონის წარმომადგენელია, შესაძლოა მეტოქეთა დასაწყვილებლად ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ბელგიური „რუზელარე", ჩვენს ან სამხრეთ ზონაში გადაისროლონ. თუ „რუზელარე" ჩვენს ზონაში განითესება, ლიხტენშტაინის „ვადუცი" სამხრეთში გადაინაცვლებს, საქართველოს ორივე წარმომადგენელი — თბილისის „ამერი" და „ვიტ ჯორჯია" — პირველ ეტაპზე განუთესავთა შორის იქნებიან. ხოლო თუკი „რუზელარე" სამხრეთ ზონაში აღმოჩნდება, ცენტრალურ-აღმოსავლეთში დარჩება „ვადუცი" — ორი ქართული კლუბიდან ერთ-ერთს (სავარაუდოდ, თასის მფლობელ „ამერს") განთესილთა, ხოლო მეორეს („ვიტ ჯორჯიას") განუთესავთა შორის მიუჩენენ ადგილს.

განუთესავთა კომპანიაში „ვადუცის" გარდა ბელარუსული ბორისოვის ბატე და მინსკის „დინამო", სომხური აშტარაკის „მიკა" და ერევნის „ბანანცი", აზერბაიჯანული აგდამის „ყარაბაღი" და ბაქოს „კარვანი", ყაზახური კუშტანაის „ტობოლი" და „ასტანა", თუმცა გაცილებით საინტერესო განთესილთა კალათაა:

1. „ბაზელი" (შვეიცარია)
2. „არტმედია" (სლოვაკეთი)
3. „იანგ ბოიზი" (შვეიცარია)
4. „ზაგლებიე" (პოლონეთი)
5. „ფეჰერვარი" (უნგრეთი)
6. „უიპეშტი" (უნგრეთი)
7. „ტრნავა" (სლოვაკეთი)
8. „ზიმბრუ" (მოლდოვა)
9. „ნისტრუ" (მოლდოვა)

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა 23 ივნისს ნიონში გაიმართება, კალათების შემადგენლობისა და კენჭისყრის პრინციპების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას კი უეფა ალბათ ამ დღეებში გაავრცელებს.

**გიორგი ნოზაძე**



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

# ქართული გუნდებისთვის მთავარი მწვრთნელია

## შოთა არველაძე: საქართველოში მუშაობა ჩემთვის კარგი პრაქტიკა იქნებოდა

23 გოლი ჰოლანდიის ჩემპიონატში, სამი უეფას თასზე, ორი ეროვნულ ნაკრებში — 33 წლის შოთა არველაძემ 2005-06 წლების სეზონში 28 გოლი გაიტანა და ახლა შვებულებას თბილისში ატარებს. მასთან ინტერვიუ კი სანაკრებო თემით დავიწყეთ...



შოთა არველაძე და ლევან კობიაშვილი ნაკრების ავსტრიულ შეკრებაზე

— ახალი ზელანდია და პარაგვაი — კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით პირველად იყავი სანაკრებო შეკრებაზე და ორ მატჩში ითამაშე — რა შთაბეჭდილება დაგრჩა ტოპმიოლერზე?

— ტოპმიოლერი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნდობის ფაქტორს. მას სურს, ფეხბურთელებს ბოლომდე ენდოს და საქმე ურთიერთნდობაზე ააწყოს. ტოპმიოლერს უნდა, რომ ნაკრებში ყველას თავისი მკაფიოდ განსაზღვრული როლი ჰქონდეს — ფეხბურთელებსაც გვეკითხება რაღაცებს. მე მას ვუთხარი, რომ ტაქტიკაში ჩვენი, ფეხბურთელების მიმართ უფრო მომთხოვნი იყოს.

— კლუბებში მანამდეც გიმუშავია სახელოვან მწვრთნელებთან — შენოლ გიუნეში, მორტენ ოლსენი, დიკ ადვოკაატი, ახლა კი შენი მწვრთნელი „ალკმაარში" ლუის ვან გაალია და ამას წინათ გვითხარი, სხვა გუნდში გადასვლას „ალკმაარში" დარჩენა თუ ვამჯობინე, უფრო იმიტომ, რომ იქ ვან გაალი მუშაობსო — რითაა ეს მწვრთნელი განსაკუთრებული და განსხვავებული ზემოთ ნახსენებთაგან?

— ვან გაალი ძალიან მოტივირებულია და ასეთია ყოველდღე, ყოველ წამს, რითაც მოსვენებას არასდროს გაძლევს. პატარა შეცდომაზეც კი დაგიკივლებს, მის ხელში სულ ტონუსში ხარ.

— ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობას აპირებ — რატომ გააკეთე ასეთი არჩევანი, ხომ შეგიძლია მწვრთნელი არ იყო, მაგრამ მაინც ფეხბურთში დარჩე?

— მწვრთნელობა ფეხბურთში უშუალოდ ყოფნის საშუალებას იძლევა. მწვრთნელობას სულ სხვა ბაცილა აქვს, ვიდრე, მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას. ასე რომ, საფეხბურთო მოხელის კარიერაზე ჯერ არ მიფიქრია. „ალკმაარში" კი ვან გაალისგან ძალიან ბევრს ვსწავლობ.

— შენით ლონდონის „ფულემი" რომ დაინტერესდა, ამაზე ახალი არაფერია?

— „ფულემის" და „ბლექბერნის" ინტერესის შესახებ ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმა მითხრა, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

— დასრულებული სეზონის მეორე ეტაპზე ჰოლანდიის ჩემპიონატში უფრო ნაკლები გოლი შეაგდე, ვიდრე პირველ ეტაპზე...

— მეორე ეტაპზე, ანუ 2006 წელს უფრო ნაკლები მატჩი ვითამაშე ჰოლანდიის ჩემპიონატში. სამაგიეროდ, უეფას თასზე გავუტანე „ბეტისს" და ჰოლანდიის ჩემპიონატის პლეი ოფში „გრონინგენს".

— უცხოეთში ყველაზე მეტი, ხუთი სეზონი ჰოლანდიაში ითამაშე — ყველაზე კომფორტულად ამ ქვეყანაში გრძნობ თავს?

— არა, კარგი იყო თურქეთშიც და შოტლანდიაშიც. ჩემთვის მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და თამაში შემეძლოს.

— ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე რას იტყოდი?

— კარგია, რომ ნაკრებს მაღალკვალიფიციური მწვრთნელი გამოუჩნდა, სხვა საორგანიზაციო საკითხებიც სათანადო დონეზე დადგა, მაგრამ, რაც შეეხება სხვა საკითხებს, საშინელი მდგომარეობაა. თუნდაც თბილისის „დინამოს" მაგალითი ავიღოთ. „დინამო" რომ ასეთ დღეშია, წარმომიდგენია, სხვა კლუბებში რა ხდება. „დინამო" ქართული ფეხბურთისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და მისი ასეთი მდგომარეობა ხელს არ უწყობს მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარებას.

— როგორ ფიქრობ, რა არის მთავარი ფაქტორი ქართული კლუბებისთვის?

— ამჟამად მწვრთნელი. ერთიორი ნიჭიერი ფეხბურთელი ქართულ გუნდებში კი მოდის, მაგრამ ორი ფეხბურთელი ამინდს ვერ შექმნის. ქართველები თანამედროვე ფეხბურთში კვლავაც უსწავლელები ვართ, ამიტომაცაა, საქართველოს ჩემპიონატიდან წამოსულ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში და უცხოურ კლუბებში ფეხის მოკიდება რომ უჭირს.

— მწვრთნელობას აპირებ და, ახლო მომავალში ქართულ გუნდში თუ იმუშავებდი?

— საქართველოს ჩემპიონატში მწვრთნელობა ჩემთვის ძალიან კარგი პრაქტიკა იქნებოდა. თუ საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელი ვიყავი, მწვრთნელი რატომ ვერ ვიქნები?!

— საქართველოში მწვრთნელად თბილისის „დინამოს" გარდა სხვა გუნდშიც იმუშავებდი?

— ნეტავ, გამოჩნდნენ საქართველოში ისეთი გუნდები, რომ იქ მუშაობის სურვილი გამიჩნდეს. ასე რომ, „დინამოს" გარდა, სხვაგანაც ვიმუშავებდი.

— შარშანწინ შენ და შენმა ძმებმა „საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდი" შექმენით — რა იქნება ამ ფონდის უახლოესი პროექტი?

— შარშან ერთი ბავშვი ჩავიყვანეთ ამსტერდამის „აიაქსის" სკოლაში და სექტემბერში კიდევ ორისამი ბავშვის ჩაყვანას ვაპირებთ.

**დავით თავართქილაძე**






# შარდი და სარდელი

**ავსტრიის** პატარა ქალაქი დორნბირნი. ქალაქსაც ვერ დაარქმევ, დაბაა და თითქოს რა დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია პარაგვაი — საქართველოს მატჩს? მუნდიალის მომლოდინე საშუალოზე მაღალი დონის ნაკრები ხვდება მუნდიალზე მარად მეოცნებე, რეიტინგით 101-ე ნაკრებს... მაგრამ დორნბირნის სტადიონზე 6500 გულშემატკივარი არასოდეს მოსულა, სავსე იყო ტრიბუნები და ინტერესიც დიდი გახლდათ.

ეს თამაშის დღეა: კახა კალაძე და მისი თანაგუნდელები სადილობენ, იქით, ორ-სამ მეტრში კი პარაგვაელები შეექცევიან... მატჩი ამხანაგურია, რა აქვთ ერთმანეთის დასახოცი და დასამალ-დასაფარი...

0:1 წავაგეთ, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერი თამაშით კმაყოფილია. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშების ფონზე ჰერ კლაუსი გერმანულ არხ ORF-ს ინტერვიუს აძლევს — მთელი გერმანია მუნდიალის მოლოდინშია და თითქოს ტოპმიოლერისთვის და საქართველოსთვის სად სცალიათ, მაგრამ აინტერესებთ...

ესეც ნამატჩევს: შოთა არველაძე ავტოგრაფებს ურიგებს ავსტრიაში მცხოვრებ ქართველებს, აქაც დროშების ფრიალია... ამ გულშემატკივართა შორის ერთ-ერთი გახლავთ საქართველოდან თექვსმეტი წლის წინ წასული კაცი, რომელიც მატჩის წინ ჩვენი ჰიმნის გაჟღერებისას გაოცდა, ეს რა მელოდიააო — ისევ ძველი „დიდება“ ახსოვდა.

სხვა რით გაერთოს დორნბირნელი ხალხი? შეიძლება, რაღაც სიმპათია ჰქონდათ პარაგვაის ან საქართველოს მიმართ, მაგრამ ხმის იოგებს რატომ დაიწყვეტდნენ — სხედან წყნარად, ლუდს ხარდელს აყოლებენ... არც იგინებიან და ბოთლებსაც არ ისვრიან...

აგერ, ბატონო, თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებისთვის და ბალ-სკვერებისთვის ნაცნობი სურათი. არადა, ეს დორნბირნის სტადიონის გამოსასვლელია, ასე დღისით-მზისით დგას კაცი და თავის ჭკუაში ხეს ეფარება... ქურთუკზე ხუთჯვრიანი დროშა აქვს მიხატული და მეგონა, ერთი ქართველი შარდავს-მეთქი, მაგრამ რომ შემობრუნდა, ქართული იერისა არაფერი ეტყობოდა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, კომპანია „კომუნიკატორი“ ჩვენს ნაკრებს ავსტრია-გერმანიაში ახლდა და ერთსაათიან ფილმს იღებდა. „კომუნიკატორთან“ ერთად ამ პროექტში მონაწილეობდნენ „ულტრაგრუპი“ და „ულტრასტეპკომი“. ეს კომპანიები გაერთიანდნენ და მალე ერთობლივ პროექტსაც ვიხილავთ. როგორც ავსტრია-გერმანიაში მყოფი სერგი გვარჯალაძისგან, ზურაბ კაციტაძისგან და ნიკო ტარილაშვილისგან შევიტყვეთ, ფილმის გარდა საქართველოს ნაკრებს ექნება ჰიმნი და თავისი სლოგანი. გარდა ამისა, დამზადდება სპეციალური საინფორმაციო რგოლები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ნახევარში გავა ეთერში. ნაკრებზე გადაღებულ ფილმს კი კომპანია საქართველო — საფრანგეთის ევროშესარჩევ მატჩამდე ერთ-ერთ ტელეარხზე აჩვენებს...

**კობა ინასარიძე**










# მიხეილ ხუციშვილი: სიონი ჩემპიონია, მაგრამ დინამო დინამოა

ესეც საკმაოდ მსუყე ტრანსფერი საქართველოს ჩემპიონატში: ბოლნისის „სიონის“ ფორვარდი მიხეილ ხუციშვილი თბილისის „დინამოში“ გადავიდა. მართალია, ქვემოქართლელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებამდე არც ერთი საკვანძო ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებდნენ, მაგრამ... ახლა „სიონს“ უფრო მეტად მართებს ტრანსფერებზე დაფაცურება, განსაკუთრებით თავდამსხმელზე, რადგან ამ პოზიციაზე მხოლოდ კოკა მიკუჩაძე შერჩა. ხუციშვილმა კი გვითხრა, უკეთესი პირობების გამო არ გადავსულვარ „დინამოში“, ამ მხრივ ბოლნისშიც კარგად ვგრძნობდი თავსო...



## ბოლნისელებს კოკა და დაფაცურება დარჩათ

— ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილია. ხვალ ან ზეგ ორწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს. „დინამოს“ სახელმა იმოქმედა და ასევე იმან, რომ თბილისში ვიქნები. რა თქმა უნდა, გული მწყდება, „სიონი“ მომენატრება — მეგობრული გუნდია, ხელმძღვანელობაც გვერდში გვედგა. გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის შანსი მქონდა...

— განვლილი სეზონი ძალიან წარმატებული გამოგივიდა მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მეორე წრე ითამაშე...

— ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. უკეთესადაც შემეძლო, ბევრი გასატანი მომენტი ვერ გამოვიყენე, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

— „სიონის“ ძირითადში, ფაქტობრივად, კონკურენტი არ გყავდა, „დინამოში“ კი ამის გარანტია ნაკლებად გექნება...

— კონკურენცია ყველგან საჭიროა. 27 წლის ვარ, პატარა აღარ მეთქმის და, როგორც ჩანს, „დინამომ“ ჩემში დაინახა ის ძალა, ვისაც დაეყრდნობა.

**ილია ნანოგაშვილი**

# დინამოს პრესასთან ურთიერთობა შეცვალა

**თბილისის** „დინამოს“ პრესსამსახურის ახლა უკვე ყოფილ უფროს ლევან სალუქვაძეს კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა და მუშაობას ტელეკომპანია „იმედის“ სპორტული მიმართულების პროდიუსერად განაგრძობს. „დინამო“ კი მან ორიოდ დღის წინ დატოვა და აი, რა გვითხრა:

— „დინამოსთან“ კონტრაქტი რომ დამისრულდა, ტელეკომპანია „იმედის“ სპორტული მიმართულების პროდიუსერის სამსახური შემომთავაზეს და ჟურნალისტიკაში დაბრუნება გადავწყვიტე. დიდი მადლობა ყველა იმ ჟურნალისტს, რომლებთანაც „დინამოში“ გატარებული ოთხი წლის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა. დიდი მადლობა „დინამოს“ ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და პერსონალს იდეალური სამუშაო პირობების შექმნისთვის. მჯერა, რომ „დინამო“ მალე დაიბრუნებს ძველ დიდებას. თავად კი ყოველთვის დინამოელად დავრჩები. რაც შეეხება კლუბის პრესსამსახურის ახალი უფროსის ვინაობას, ამის თაობაზე „დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე უკეთ გეტყვით.“

ბუბა ტყავაძის თქმით კი, „დინამოს“ პრესსამსახურის ახალი უფროსი ჯერჯერობით გიგა გვენცაძე იქნება. გიგაც გამოცდილი ტელეჟურნალისტია, რომელსაც ქომაგობა საფეხბურთო ტელემიმომხილველადაც უნდა იცნობდეს.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარალელური ოპტიმიზმი

## კანდელაკმა საქართველო პარაგვაის იქით დაინახა



ილია კანდელაკი (№5) პარაგვაელებთან მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

უკრაინის ჩემპიონატის მესამეადგილოსან ოდესის „ჩერნომორეცის" 24 წლის მარცხენა მცველი ილია კანდელაკი კლაუს ტოპმიოლერმა პარაგვაისთან ამხანაგურ მატჩში სასტარტოში ათამაშა და ილიამაც საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. კანდელაკის მცირე ინტერვიუ „ჩერნომორეცის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

— პარაგვაისთან მატჩის შემდეგ კარგი პრესა გქონდათ...

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, ულამაზოა. უბრალოდ, ჩემი თამაში ვითამაშე ისევე, როგორც მთელმა გუნდმა. სამწუხაროდ, წავაგეთ, მაგრამ მინიმალური სხვაობით. ისე, ამ თამაშში ყველაფერი გამოგვდიოდა, რამაც გარკვეული ოპტიმიზმი ჩაგვინერგა. რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა...

— საგოლე მომენტი თქვენც გქონდათ...

— წესიერად არც მახსოვს... თამაში ძალიან მძაფრი იყო, საგოლე შანსი რამდენიმე გვქონდა, ალბათ, მეც.

— „ჩერნომორეცში" ახლა უკვე საქართველოს ნაკრების სამი მცველი ითამაშებს — შეიძლება ითქვას, რომ „ჩერნომორეცი" საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საბაზო გუნდი გახდა?

— მსგავსი ადრეც ყოფილა, მაგალითად, „ალანიაშიც" თამაშობდა ნაკრების რამდენიმე წევრი, ასე იყო „ფრაიბურგშიც". „ჩერნომორეცში" ახლა სამი ქართველი ვართ და მოხარული ვიქნები, თუ ნაკრებშიც ერთად ვითამაშებთ. ჩვენ და ტოპმიოლერი ახლა ერთმანეთს ვეცნობით. თავიდანვე შეატყობ, რომ იგი თბილი, გულისხმიერი ადამიანი და დიდი პროფესიონალია.

**— პარაგვაისთან არ უთამაშია კიდევ ერთ ჩერნომორეცელს, კახა მჟავანაძეს...**

— რამდენიმე დღით ადრე ახალ ზელანდიასთან მატჩში მან მცირე ტრავმა მიიღო. საგანგაშო არაფერია, სამ-ოთხ დღეში მწყობრში იქნება.

**— „ჩერნომორეცის" ახალწვეულ გიორგი შაშიაშვილთან ერთად თბილისის „დინამოში" არაერთი სეზონი გითამაშიათ...**

— გიორგიზე კარგის მეტს ვერაფერს გეტყვით, ის შესანიშნავი ფეხბურთელი და ადამიანია — ეს უკვე ბევრს ნიშნავს. დანარჩენს კი გულშემატკივრები მალე ნახავენ. ვფიქრობ, შაშიაშვილი მათ არ გააწბილებს.

# სადღაა ბორჯომის გაზი...

## ბაქრაძე ბათუმს მიადგა

„ბორჯომი" დღითიდღე იცლება ფეხბურთელებისგან და ძლიერ გუნდს ვინ ჩივის, საერთოდ, იარსებებს თუ არა, ესეც საკითხავია.

გონსალო დე პორასი, დარიო სებალე, მიხეილ მესხი, სანდრო ბურნაძე, ზურაბ მამალაძე — „ბორჯომიდან" წასულ ამ მოთამაშეების სიას კიდევ ორი მიემატა: გიორგი მემარნიშვილი საჩხერის „ჩიხურაში" გადავიდა, დავით ბაქრაძე კი „ბათუმში".

**ლუკა თალაკვაძე**

თბილისის „ამერი" უეფას თასზე დებიუტისთვის ემზადება და 31 მაისს თბილისში შეკრებილი გუნდი 3 ივნისიდან ბაკურიანში ათდღიან შეკრებაზე გადავიდა. გიორგი დეკანოსიძეს სწორედ ბაკურიანში დავუკავშირდით და მზადების გარდა, ბუნებრივია, გასული სეზონის უმთავრეს მატჩზეც დავეკითხეთ. „ზესტაფონთან" საქართველოს თასის ფინალურ მატჩში გიორგიმ პირველი პენალტი დაარტყა და... ბურთი კარს ააცილა. „დეკას" ახლა უკვე აღარც ამ ეპიზოდის გახსენება უჭირს...





# რატომ გარბოდა ამერი?

## დეკანოსიძემ გამარჯვება გვიან შეიტყო

— ბაკურიანში მზადება ჩვენთვის უცხო არ არის, ამ ზამთარს მეორე წრისთვის მზადების პირველი ეტაპიც ხომ აქ გავიარეთ. კარგი სიტუაციაა, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. დილით ფიზიკურად ვიტვირთებით, საღამოს კი ბურთით ვვარჯიშობთ.

**— გასული ჩემპიონატის მეორე წრეში „ამერი" ფიზიკურად სხვებზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ბოლოსკენ მაინც გაგიჭირდათ...**

— მეტისმეტად გადატვირთული კალენდარი გვქონდა და, ბუნებრივია, ყველას გაუჭირდა სამ-ოთხ დღეში ერთხელ თამაში. ამას თასის მატჩებიც ემატებოდა და...

**— სეზონის ბოლო შეხვედრაში, თასის ფინალში სერიოზული გამოცდა გქონდათ. მეორე ტაიმში შენც დაღლილი ჩანდი...**

— დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ იმას ვერ ვიტყვი, ჯანი აღარ მქონდა შერჩენილიო. რამდენიმე ჩვენს ფეხბურთელს კუნთი დაეჭიმა, მაგრამ ეს ცუდი ფიზიკური მომზადების ბრალი ნამდვილად არ ყოფილა — ფსიქოლოგიურმა გადაღლამ და ზედმეტმა მონდომებამაც თავისი ქნა.

**— დამატებით დროში „ამერი" აშკარად ანგარიშის შენარჩუნებაზე გადავიდა...**

— წამატებულ წუთზე გაგვითანაბრეს ანგარიში. ამ დროს სულიკო დავითაშვილი და რატი წინამძღვრიშვილი უკვე შეცვლილები იყვნენ, ერთადერთი თავდამსხმელი დიმა ტატანაშვილიღა გვყავდა და იმასაც ბურთის დაჭერა უფრო ევალა. რაც მთავარია, პენალტებამდე მივიყვანეთ საქმე და, ჩემი აზრით, დამსახურებულად მოვიგეთ.

**— თასის ფინალამდე პენალტი რამდენ ოფიციალურ მატჩში გქონდა დარტყმული?**

— პირველ ლიგაში რომ ვთამაშობდით, ერთ სეზონში 14 პენალტი დავარტყი და 13 გავიტანე, წლეულს კი პირველ წრეში „სოხუმს" ვერ გავუტანე. თასის ფინალში რომ დავარტყი, ამ სეზონში მეორე პენალტი იყო.

**— ახლა ალბათ უკვე შეიძლება იმ ემოციაზე ლაპარაკი, პენალტის გაცუდების მერე რომ დაგეუფლა...**

— მთელი გუნდი მაწყნარებდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ყველა ძალიან განიცდიდა.

**— ზურაბ ქვაჩახიამ ბოლო პენალტი რომ მოიგერია, ორმაგი შვება და სიხარული არ იგრძენი?**

— დაბნეული ვიყავი. ქვაჩახიამ რომ ბურთი მოიგერია, მთელი გუნდი მისკენ გაიქცა, მე კი ვერ მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ცენტრისკენ ნიკოლაიშვილი მორბოდა და იმას ვკითხე, დასრულდამეთქი?

**— მატჩის შემდგომ ლხინზე კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია და შენ დიდხანს ლაპარაკობდით პირისპირ. თუ საიდუმლო არ არის, რაზე?**

— ყველაფერზე ვილაპარაკეთ — გამარჯვებაზე, გუნდზე, მომავალ გეგმებზე...

**— გაფუჭებულ პენალტზე...**

— პენალტზეც. ასეთ სიტუაციებში პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, გვამშვიდებს-ხოლმე. ისე კი, თუ გაფუჭებული პენალტის შემდეგ ვინმემ სხვა დროს უკან დაიხია, მაშინ შეიძლება პირიქით, შეგაგულიანოს.

**— უეფას თასზე „ამერს" რა შანსი აქვს?**

— ჩვენი შანსი მონდომებაა. თუ ფსიქოლოგიურად სწორად განეწყობი, შეიძლება, ისეთ გუნდთან გაიმარჯვო, ძნელად რომ წარმოიდგენ. მთავარია, მოედანზე შიშით არ გახვიდე და იმის მაქსიმუმი გააკეთო, რაც შეგიძლია.

**— ასაკის მიუხედავად, საკმაო გამოცდილება გაქვს. შეადარე შენი პირველი საქართველოს ჩემპიონატი წლევანდელს — ერთ ადგილს ვტკეპნით?**

— ბევრით წინ ნამდვილად არ წავსულვართ. ადრე დაძაბული მატჩები მეტი იყო და ჩვენს პირველობაზე ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, დღეს საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში რომ არიან: ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, მენთეშაშვილი... თანაც, ახლა სხვანაირი სიტუაციაა, აქცენტი ახალგაზრდებზე კეთდება და 24-25 წლის ფეხბურთელები ლამის ვეტერანებად ითვლებიან. 25 კი არა, 30 და 32 წლის ასაკშიც არ შეიძლება ფეხბურთელის ასაკზე ყურადღების გამახვილება.

**— საქართველოს თასის მოგებას ვის მიუძღვნი?**

— მამა აღარ მყავს და, რა თქმა უნდა, მას ვუძღვნი, მერე კი მთელ ჩემს ოჯახს.

**გიორგი ნოზაძე**

ფკ ამერის ბავშვთა სკოლა აცხადებს 1992-1993 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებას ჭაბუკთა ლიგაში სათამაშოდ.
მიღება იწარმოებს შერჩევით, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე; შაბათ-კვირას: 10-დან 12 საათამდე.
მისამართი: გლდანის მასივი, თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევი).
ტელ.: 899 13 51 02; 57 14 11

# ბუს კვერცხების ლოგიკა

## ქართულ ფეხბურთში მენეჯერული აზროვნების სასტიკი დეფიციტია



ბადრი კვიციაშვილის ფოტო



არგენტინელი გონსალო დე პორასი და პერუელი ხუან დიეგო გონსალესი

მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ერთგვარი ციკლის პირველ წერილში მსაჯობას შევეხეთ. ამჯერად განმსჯელებიდან განსასჯელებზე გადავიდეთ და კლუბებზე ვთქვათ. უფრო კონკრეტულად, რამდენად გაიზარდნენ და „დალვინდნენ“ ჩვენი კლუბები გასულ ერთ წელიწადში...

ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე ის რამდენიმე კრიტერიუმი უნდა წამოვწიოთ, რომლის მიხედვითაც შეფასების გაკეთება მოგვიწევს. საქართველოს, სულ მცირე, უახლოეს ათწლეულში ვერაფრით ექნება იმ დონის ჩემპიონატი, საიდანაც უეფას ტურნირებზე გასული გუნდი ევროპაში სერიოზულ მიზნებს შეეჭიდება. სამწუხაროდ [sic: სადღეისოდ] ჩვენ ვრჩებით ქვეყნად, რომელმაც ევროპული ფეხბურთისთვის კადრების ექსპორტიორის როლი უნდა შეასრულოს. სწორედ ეს, ანუ ფეხბურთელთა ექსპორტია დღეს ერთადერთი ლეგალური გზა საიმისოდ, რათა ჩვენმა კლუბებმა თუნდაც საკუთარი თავის დაფინანსება შეძლონ — ბილეთების რეალიზაცია, ტელეტრანსლაციები, რეკლამა და სხვა ამგვარები კი ჯერჯერობით ვერანაირად ვერ ითვლება კლუბების დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელო წყაროდაც კი.

რადგან ქართული კლუბების კეთილდღეობა კადრების ექსპორტზეა დამოკიდებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენად დალაგებულია ამ მხრივ ვითარება და არის თუ არა კლუბების ძალისხმევა მიმართული ევროპულ ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად. დღეს ფეხბურთელთა მიგრაცია ძირითადად რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის და აზერბაიჯანისკენაა მიმართული. ამ ქვეყნების კლუბთა უმრავლესობას ნამდვილად გააჩნია საიმისო თანხა, ნებისმიერი ქართული კლუბიდან ნებისმიერი ფეხბურთელი გამოისყიდონ. თუმცა, როგორც კი ქართველზე მიდგება საქმე, უცხოელები ფეხს ითრევენ და ამ დროს ჩვენებურ ფეხბურთელს მშველელად თავისუფალი აგენტის სტატუსი ევლინება. ანუ, ქართველი კი უნდათ, თანაც, რაც შეიძლება, მაღალი დონის, ოღონდ სატრანსფერო თანხის გადაუხდელად. ფეხბურთელი, რომელსაც უცხოეთში კარიერის გაგრძელება სურს, ჩინებულად ხვდება ამას და თუ ზაფხულში სატრანსფერო ვოიაჟი აქვს დაგეგმილი, ზამთარში ერთწლიან კონტრაქტს არასდიდებით არ გააფორმებს. მაგრამ თავად კლუბი? უმრავლეს შემთხვევებში კლუბი თანხმდება ექვსთვიანი, მაქსიმუმ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას, ოღონდ კი სასურველი ფეხბურთელი დაიმატოს და ჩემპიონატი გადააგოროს. მრავალწლიანი სტრატეგია, წლობით გუნდის შეთამაშება, მიზანმიმართული სატრანსფერო პოლიტიკა, უცხოურ კლუბებთან დალაგებული პარტნიორული ურთიერთობები — ეს ყველაფერი ჩვენი კლუბების უმრავლესობისთვის მეტისმეტად უცხოა, რადგან გაცილებით ტრივიალური ყოფითი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი. არადა, განა რა ძნელი მისახვედრია, რომ ამ ყოფითი პრობლემების გადაჭრა სწორედ გონივრული სატრანსფერო პოლიტიკის და სტაბილურობის შედეგად მოხერხდება.

ფეხბურთელის ხუშტურზე სიარული ერთია და, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება ჩვენი კლუბებისთვის სხვა მხრივაც მიუღებელია: მათ ხომ თუნდაც მომდევნო სეზონის სავარაუდო ფინანსური კონტურები, საკუთარი შესაძლებლობები არ იციან — დღეს შეიძლება ფეხბურთელს შესთავაზო მისთვის მისაღები პირობები, მაგრამ თუ მომავალ წელს ცარიელზე დარჩი, დანაპირებს ვერ შეუსრულებ და კონტრაქტით „შეიარაღებული“ მომჩივანი შეგრჩება, რომელიც ნებისმიერ ინსტანციაში მოგიგებს დავას. უნდა ვინმეს ზედმეტი თავის ტკივილი?

იურიდიული კრიტერიუმი კლუბების ლიცენზირების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ამ კრიტერიუმის ერთ-ერთი მოთხოვნა კი ფეხბურთელებთან და კლუბის სხვა პერსონალთან კონტრაქტების გაფორმებაა. თუმცა ვერანაირი ლიცენზირების კომიტეტი ვერ აკრძალავს ექვსთვიანი და ერთწლიანი კონტრაქტების გაფორმებას. ესეც არ იყოს, იმ კლუბებში, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ ლიცენზირების გავლის შესაბამისი სერტიფიკატები მიიღეს, ამ მხრივ საქმე შედარებით უკეთაა. სტაბილური ფინანსური მდგომარეობა „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“, „ამერს“ და „ზესტაფონს“ რამდენიმე სეზონზე გათვლილი სატრანსფერო პოლიტიკის წარმოების საშუალებას აძლევს. „ვიტ ჯორჯია“ ამ მხრივ საქართველოში სულაც სამაგალითოა. მართალია, ვეტერინარებს არც გიორგი ქინქლაძის დარი ორმილიონგირვანქიანი ტრანსფერი გაუჩარხავთ და არც მიხეილ აშვეთიასდარი მილიონდოლარიანი, მაგრამ სწორი სატრანსფერო პოლიტიკა საშუალებას აძლევთ, გუნდი თითქმის თვითდაფინანსებაზე ამუშაონ. ამგვარი სტრატეგიის კიდევ ერთი პლუსი სტაბილური შემადგენლობაა, რაც ცხრა წლის განმავლობაში მათი ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი იყო.

ცოტა ხნის წინ ქართულ სატრანსფერო პოლიტიკაში „ახალი მიმდინარეობა“ გაჩნდა: ფეხბურთელი კლუბთან მხოლოდ სახელფასო ვალდებულებითაა დაკავშირებული, მასზე უფლებებს კი აგენტი ფლობს. არალოგიკურია გუნდში ფეხბურთელის აყვანა, მისთვის ხელფასის და პრემიის გადახდა, სხვა საჭირო პირობების შექმნა და მერე ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გუნდიდან გაშვება. რა სარგებელი შეიძლება მოგიტანოს ასეთმა ფეხბურთელმა? საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორობა ან თუნდაც ჩემპიონობა და ევროსაგზური? ვის სჭირდება ევროსაგზური, თუ ის ერთი გუნდითაა მოპოვებული და საქართველოს სახელით სათამაშოდ სულ სხვა, ერთი თვის შეკრებილი შემადგენლობა გადის?! ან სად არის ლოგიკა, როცა შემადგენლობაში ხუთი-შვიდი ნათხოვარი ფეხბურთელი გყავს და ბოლოს კი არა, შუა სეზონში შეუძლია მფლობელ კლუბს მათი უკან გაწვევა?

გასული წელი საერთაშორისო ტრანსფერებით დახუნძლული ნამდვილად არ ყოფილა, შიდა სატრანსფერო ბაზარზე კი, როგორც ყოველთვის, ცოცხალი რიგები იდგა. შეგიძლიათ, თვალი გადაავლოთ — შიდა ტრანსფერების 90 პროცენტში თავისუფალი აგენტები გადადი-გადმოდიან.

ორიოდ თვის წინ გაცნობეთ, რომ შარშანწინ თბილისის „ლოკომოტივში“ მობურთალი ხუან დიეგო გონსალესი მავანმა პერუულმა კლუბმა ესპანურ „რასინგს“ ორ მილიონ დოლარად მიჰყიდა. მაშინ ხუნ დიეგოსთან სრულფასოვანი, სოლიდური კონტრაქტის გაფორმება ვერავინ გაბედა, თორემ არ იყო ის ბიჭი საქართველოში თამაშის წინააღმდეგი. არადა, აწყენდა რომელიმე ჩვენებურ კლუბს ორი კი არა, თუნდაც ერთი მილიონი დოლარი? აგერ, მეორე არგენტინელმა, გონსალო დე პორასმა სეზონის დასრულებისთანავე დატოვა „ბორჯომი“ და მასთან ერთად საქართველოც. მისი ქართულ კარიერა ექვსთვიანმა კონტრაქტმა დაიტია. არადა, დაიმახსოვრეთ ეს გვარი — გონსალო დე პორასი დღეს „როსარიო სენტრალის“ ძირითადი შემადგენლობის წევრია და თავს აუცილებლად შეგვახსენებს რომელიმე ევროპული კლუბიდან...

საბოლოო ჯამში, ვერანაირ ახალ დასკვნას ვერ გავაკეთებთ: ქართული კლუბების უმრავლესობა დღევანდელი კვერცხის პრინციპით ცხოვრობს და თუნდაც ამის გამო არასოდეს ექნება ქათამი. ქართველ ფეხბურთელთა უმრავლესობაც ამავე პრინციპის მიმდევარია და იმიტომაცაა კვერცხის (მაქსიმუმ — გაყინული ბარკლების) საფასურად რომ თანხმდება თამაშს. ამის შედეგია, წლიდან წლამდე რუმინელთა, ბოსნიელთა, ხორვატთა, ნორვეგიელთა, შვედთა მრავალმილიონიანი კონტრაქტების ფონზე ქართული საკლუბო ფეხბურთი ბუს კვერცხების ამარა რომ რჩება. ვითომ მხოლოდ ხარისხიანი მინდვრების დეფიციტშია საქმე? მეეჭვება, რადგან ქართულ საკლუბო ფეხბურთში ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მენეჯერული აზროვნების სასტიკი დეფიციტია.

**გიორგი ნოზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კვიციაშვილის ფოტო

გოდერძი გოგოლაძე

## ახალკაცის და კარვანის რომანი ყარაბახმა წაშალა

ლექსო ინწკირველისა და რომან ახალკაცის „კარვანმა“ აზერბაიჯანის თასის ფინალი წააგო ირაკლი და გოგა ბერაიების „ყარაბახთან“. არადა, პირველივე წუთზე ახალკაცმა სოლო გარღვევას ულამაზესი გოლი მიაყოლა — „კარვანი“ 1:0 დაწინაურდა, თუმცა „ყარაბახმა“ ჯერ ტაიმის ბოლოს გაათანაბრა, 87-ე წუთზე კი გამარჯვებისა შეაგდო — 2:1.

ახალკაცი 74-ე წუთზე შეცვალეს, ინწკირველმა კი სრულად ითამაშა. „ყარაბახის“ მთავარმეგოლე ირაკლი ბერაია ტრავმის გამო არ გასულა მინდორზე, ხოლო გოგამ 90 წუთი იბურთავა.

ფინალის წაგების მიუხედავად, „კარვანი“ უეფას თასზე მაინც გავა, რადგან ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. აი, ვალერი აბრამიძისა და გიორგი ადამიას „ნეფთჩის“ კი მესამე საფეხურზე გასვლა მხოლოდ ინტერტოტოს თასის საგზურს აძლევს.

...და აზერბაიჯანში მოთამაშე კიდევ ერთ ლეგიონერზე — მცველი გოდერძი გოგოლაძე შარშან ქუთაისის „ტორპედოში“ ირიცხებოდა, გასული სეზონის მეორე ნახევარი კი „გიანჯაბირლიში“ გაატარა, თუმცა იჯარით — გოგოლაძე აზერბაიჯანული მასშტაბით საკმაოდ მძლავრ „ინტერს“ ეკუთვნის.

**ილია ნანოგაშვილი**

## პლეი ოფში შუქურა ჩააქრეს

**პირველ** ლიგაში გადასასვლელი საპლეიოფო ამბები დასრულდა: გუშინწინ გორში, „ქართლის“ სტადიონზე თბილისის ომც და ქობულეთის „შუქურა“ იბრძოდნენ ამ საგზურისთვის — ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დამთავრდა, პენალტების სერიაში კი ომც-მ 4:1 მოიგო.

პირველ ლიგაში ომც-ს გარდა ზუგდიდის „მგლები“, საჩხერის „ჩიხურა 2“, ოზურგეთის „მერცხალი“ და „ნორჩი დინამოელი“ გადავიდნენ.

**ილია ნანოგაშვილი**

# პოეტი


ჰორაციო ელიზონდო

*მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩში მსაჯობის პატივი არგენტინელ ჰორაციო ელიზონდოს ერგო. ფიფას სამსაჯო კომიტეტმა გუშინწინ ჯგუფური ეტაპის 16 შეხვედრის არბიტრები დანიშნა.*

*ელიზონდო ფიფას მსაჯია 1994 წლიდან, პირველად სანაკრებო თამაში კი 1996-ში ანდეს. პროფესიით ფიზიკის მასწავლებელს, „კოპა ამერიკის“ (1997, 1999), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის (2000), 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის (1997, 2005), ახალგაზრდული ჩემპიონატის (2003, 2005), ოლიმპიადის (2004) და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში უმსაჯია.*

*42 წლის ელიზონდოს უყვარს გოლფი, პოეზია და ლექსებს თავადაც წერს.*

**9 ივნისი**

გერმანია – კოსტა რიკა
ჰორაციო ელიზონდო; დარიო გარსია,
როდოლფო ოტერო (არგენტინა)

პოლონეთი – ეკვადორი
ტორუ კამიკავა; იოშიკაცუ ჰიროშიმა (იაპონია),
დაე იუნგ კიმი (კორეა)

**10 ივნისი**

ინგლისი – პარაგვაი
მარკო როდრიგესი; ხოსე ლუის კამარგო (მექსიკა),
ლეონელ ლეალი (კოსტა რიკა)

ტრინიდადი – შვედეთი
შამსულ მაიდინი (სინგაპური); პრაჩია პერმპანიჩი
(ტაილანდი); ეისა გულოუმი (საამიროები)

არგენტინა – კოტ დივუარი
ფრანკ დე ბლეეკერი; პეტერ ჰერმანსი,
ვალტერ ვრომანსი (ბელგია)

**11 ივნისი**

სერბეთი-ჰოლანდია
მარკუს მერკი; კრისტიან შრაერი,
იან-ჰენდრიკ სალვერი (გერმანია)

მექსიკა – ირანი
რობერტო როზეტი; კრისტიანო კოპელი,
ალესანდრო სტანიოლი (იტალია)

ანგოლა – პორტუგალია
ხორხე ლარიონდა; ვალტერ რიალი,
პაბლო ფანდინო (ურუგვაი)

**12 ივნისი**

იტალია – განა
კარლოს სიმონი; არისტო ტავარესი,
ედნილსონ კორონა (ბრაზილია)

აშშ – ჩეხეთი
კარლოს ამარილია; ამელიო ანდინო,
მანუელ ბერნალი (პარაგვაი)

ავსტრალია – იაპონია
ესამ აბდელ ფატაჰი (ეგვიპტე); დრამანე დანტე (მალი),
მამადუ ნდოიე (სენეგალი)

**13 ივნისი**

ბრაზილია – ხორვატია
ბენიტო არჩუნდია; ხოსე რამირესი (ესპანეთი),
ექტორ ვერგარა (კანადა)

საფრანგეთი – შვეიცარია
ვალენტინ ივანოვი; ნიკოლაი გოლუბევი,
ევგენი ვოლნინი (რუსეთი)

კორეა – ტოგო
გრემ პოლი; ფილიპ შარპი,
გლენ ტარნერი (ინგლისი)

**14 ივნისი**

ესპანეთი – უკრაინა
მასიმო ბუსაკა; ფრანჩესკო ბურაგინა,
მატიას არნეტი (შვეიცარია)

ტუნისი – საუდეთი
მარკ შილდი; ნათან გიბსონი, ბენ უილსონი (ავსტრია)

# ინტერვიუ პროკურატურაში





**ნეაპოლის** პროკურატურამ, რომელიც იტალიაში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალს იძიებს, „იუვენტუსის“ მორიგი ორი ფეხბურთელი დაკითხა. გამომძიებელთა კითხვებს ამჯერად ფაბიო კანავარო და დავიდ ტრეზეგე პასუხობდნენ. ორივე მათგანმა პროკურატურაში დაახლოებით ორი საათი გაატარა. კითხვები მათ „იუვეში“ გადასვლასაც ეხებოდა, ანუ მოხდა თუ არა ეს ტრანსფერები წესების სრული დაცვით.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. პროკურატურის ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე და მითხრეს, რომ ჩემთან სასაუბრო მეტი აღარაფერი აქვთ. ასევე მთხოვეს, დეტალებზე პრესასთან არ მესაუბრა. ამიტომ სხვას ვერაფერს გეტყვით. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვემზადები“ — თქვა „სკუადრა ატურას“ კაპიტანმა.

კანავაროს ადვოკატი ანდრეა ანფორმა: „პროცედურამ ძალიან კარგად და მშვიდად ჩაიარა. ფაბიომ ყველა დასმულ კითხვას უპასუხა და სანერვიულო არაფერია“.

„ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიხარია, რომ პროკურატურაში მუნდიალამდე ვიყავი. ახლა შემიძლია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მშვიდად მოვემზადო“ — ეს კი დავიდ ტრეზეგეს სიტყვებია.

ფრანგ ფორვარდს ჟურნალისტებმა ისიც ჰკითხეს, რჩებით თუ არა „იუვენტუსში“ და რას იზამთ, თუ „ბებერ ქალბატონს“ სერია B-ში დააქვეითებენო. ტრეზეგემ კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა და მოკლედ მოუჭრა, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა, განაჩენს დაველოდოთო.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# ვინ მიხედავს ბებერს B-ში?


დიდიე დეშანი


ალბერტო ძაკერონი

**ფაბიო კაპელოს** „იუვენტუსიდან“ წასვლის შესახებ მითქმა-მოთქმა არ წყდება. მეტიც, აპენინური პრესა ირწმუნება, თუ „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი გახდება, დონ ფაბიო ნამდვილად მადრიდში დაბრუნდებაო. კალდერონს კი არჩევნების მოგების დიდი შანსი აქვს, იგი კაპელოს უკვე შეხვდა კიდეც და ძნელი გამოსაცნობი არაა, რაზე ესაუბრა. თანაც შეიძლება „იუვე“ სერია B-ში დააქვეითონ და ასეთ შემთხვევაში გამოცდილი ტაქტიკოსი „დელე ალპიზე“ დარჩენას არ აპირებს.

„ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელობის კანდიდატები უკვე მრავლად არიან. ყველაზე რეალური ვარიანტი ორია — „ლივორნოს“ ექსთავკაცი რობერტო დონადონი და „სამპდორიას“ ამჟამინდელი მწვრთნელი ვალტერ ნოველინო. „იუვეს“ სამსახური შესთავაზეს აგრეთვე ალბერტო ძაკერონიმ და დიდიე დეშანმა.

ალბერტო ძაკერონი: „ძველ სიმაღლეებზე დაბრუნების რეალური გეგმისა და პერსპექტივის შემთხვევაში მზად ვარ, „იუვენტუსი“ სერია B-შიც გავწვრთნა. თუმცა სანამ გამოძიება არ დამთავრდება და ტურინელებს განაჩენს არ გამოუტანენ, რამეზე საუბარი ნაადრევია“.

38 წლის დეშანმა მწვრთნელობა „მონაკოში“ დაიწყო და არცთუ ცუდად. ახლა უმუშევარია. მას სათამაშო კარიერის მანძილზე „იუვეში“ არაერთი წარმატებული სეზონი აქვს გატარებული. საკმაო ხანს „ბებერ ქალბატონს“ კაპიტნობდა კიდეც და „დელე ალპიზე“ დაბრუნება უნდა.

„იუვენტუსის“ გაწვრთნა დიდი პატივია. ამ სამუშაოს დიდი სიამოვნებით დავთანხმდები ტურინელების სერია B-ში დაქვეითების შემთხვევაშიც“ — აღნიშნა დეშანმა.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# ნისტელროიმ აგენტს ჭორაობა აუკრძალა



**დიდი შანსია,** რუუდ ვან ნისტელროიმ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვოს. მოგეხსენებათ, მას სერ ალექს ფერგიუსონთან ურთიერთობა დაეძაბა და, როგორც ცნობილია, შოტლანდიელი მზად არის, 29 წლის ჰოლანდიელი ფორვარდი სარფიანი წინადადების შემთხვევაში გაასხვისოს.

ნისტელროის უკვე მრავალი მსურველი ჰყავს, მათ შორის, „მილანი“, „ინტერი“, „რეალი“ და „ჩელსი“. თუმც თავად ფეხბურთელი ამჟამად მხოლოდ ეროვნულ ნაკრებსა და მუნდიალზე ფიქრობს. იგი ჭორებს ყურადღებას არ აქცევს და თავის აგენტ როჯერ ლაინსს სთხოვა, მხოლოდ მაშინ შეაწუხოს, როცა რამე კონკრეტული გამოჩნდება.

„როჯერს ვუთხარი, ჭორები და ზოგადი ლაპარაკი არ მაინტერესებს. ეს ყველაფერი თავში ილექება და ძალაუნებურად ვფიქრობ, რაც ახლა სულაც არ მჭირდება. მსურს, მშვიდად ვიყო, დასვენებული გონებით. ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ შემაწუხებს, თუ კონკრეტულ და საინტერესო წინადადებას მიიღებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე“ — აღნიშნა თავდამსხმელმა.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# ტურამი: ბობანის ცხოვრების შეცდომა

*თქვენ წარმოიდგინეთ, ცნობილი ფეხბურთელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ჰკითხეთ ხორვატ ზვონიმირ ბობანს და ის გეტყვით, რომ ქალაქის პარკში თუ ფეხბურთის მოედანზე ყველას გაუკეთებია ისეთი რამ, რასაც დღემდე განიცდის. დიახ, დიახ, საუბარია ბობანზე, რომელსაც უთამაშია „მილანში“, მოუგია ჩემპიონთა ლიგა, გამხდარა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი, დიდ მუნდიალზე კი მესამეზე გასულა — აი, ეს ბობანი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა დრო უკან დაებრუნებინა და ცხოვრების ერთი ეპიზოდი შეეცვალა. რომელი? ის, რომელშიც მან ბურთი დაკარგა, ფრანგმა ტურამმა წაართვა, იური ჯორკაეფთან გაათამაშა და ანგარიში გაათანაბრა — ეს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალი გახლდათ. ზემოთ აღწერილი ამბიდან 23 წუთში ტურამმა მეორეც შეაგდო და... ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებას დაამშვიდობა*



**— და მაინც, ხორვატიისთვის მესამე ადგილზე გასვლა წარმატება იყო. რამ განაპირობა ეს?**

— საიდუმლო არაფერია. ბევრი კარგი ფეხბურთელი და კარგი გუნდი გყავდა. პლუს, მეტოქეებმა ვერ შეგვაფასეს, როგორც საჭირო იყო. მაშინდელ ხორვატიის ნაკრებში დიდებული ატმოსფერო სუფევდა. მტკიცედ გვწამდა, რომ ძალიან ძლიერები ვიყავით და საკუთარი თავის ასეთმა რწმენამ შესაბამისი ხარისხის ფეხბურთი განაპირობა კიდეც. კიდევ, დიდი როლი ითამაშა პატრიოტიზმმა. გვინდოდა ჩვენი ნატანჯი თანამემამულეებისთვის ზეიმი გვეჩუქებინა. ჩვენ მათთვის ვიბრძოდით და მათთვის ვიმარჯვებდით.

**— რა გახსოვთ იმ ჩემპიონატიდან ყველაზე მკაფიოდ და კარგად?**

— ბრინჯაოს მედლის მოგება, ბუნებრივია ფანტასტიკური შედეგი გახლდათ. გუნდი, როგორც ერთიანი ორგანიზმი, ჩინებულად თამაშობდა, დავორ შუკერი კი საუცხოო ფორმაში იყო, მაგრამ პირადად მე ყველაზე მძაფრად საფრანგეთის ნაკრებთან დაშვებული ჩემი შეცდომა მახსოვს. ლილიან ტურამმა წამართვა ბურთი და ანგარიში გაათანაბრა. ეს ჩემი საფეხბურთო კარიერის... უფრო სწორად მთელი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა იყო და მის გახსენებაზე დღემდე გული მტკივა.

**— ხორვატიის ნაკრების ნახევარდაცვაში თამაში, ალბათ განსაკუთრებული გრძნობა იყო. თქვენ, ალიოშა ასანოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი...**

— მართლაც დიდებული გრძნობა იყო. ვინც თქვენ ჩამოთვალეთ დიდებული ფეხბურთელები იყვნენ და საერთოდაც, ვამაყობ, რომ ბევრი ჩვენს თაობას ხორვატიის ფეხბურთის ისტორიაში ოქროს თაობად მიიჩნევს. გამიგია, ასეთ გუნდს ხორვატები ვეღარასოდეს ვნახავთო. იმედი მაქვს, რომ ცდებიან. იმ გუნდის განსაკუთრებული თვისება ბალანსი გახლდათ. ჩვენ ერთმანეთს ვავსებდით.

**— რას იტყვით ნიკო კრანიჩარის თამაშზე?**

— მომწონს, თუმცა ჩემთვის ხორვატიის ნაკრების მთავარი ფეხბურთელები დადო პრსო და ნიკო კოვაჩი არიან. რაც შეეხება კრანიჩარს, დიდი ნიჭის მიუხედავად დიდი ფეხბურთელი არ არის. მისთვის, ისევე, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატი კარგი სკოლა იქნება.

**— ახალგაზრდათაგან სხვა ვინ მოგწონთ?**

— ძალიან მომწონს ბარსელონელი ანდრეს ინიესტა. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. იმავეს ვიტყოდი ლეო მესიზე. როდესაც მოთამაშეს ბურთი აქვს, მისგან რაღაცას უნდა ელოდე.

**— ვინ არის თქვენი ყველა დროის ფავორიტი?**

— ნუ, პელესა და მარადონას ყველა უნდა სცემდეს პატივს, ჩემი თაობიდან კი ზიდანი და რონალდო მომწონს სხვებზე მეტად. რონალდო „ბარსელონას“ წლებში შეუდარებელი იყო.

**— უამრავი ჩინებული ფეხბურთელის მხარდამხარ გითამაშიათ. ვინ იყო მათგან უძლიერესი?**

— მარკო ვან ბასტენი. ის ერთ სხეულში გამთლიანებული ორი მოთამაშე იყო. ერთდროულად გახლდათ ცხრა და ათი ნომერი. ტექნიკურად უზადოს საკუთარი თავისთვის სივრცის გამოძებნა ყველაზე მჭიდრო სიტუაციაშიც შეეძლო. უძლიერესი გახლდათ როგორც საჯარიმოში, ასევე საჯარიმოს გარეთ. მოკლედ, ფენომენი იყო. მის გვერდით თამაში ძალიან მიყვარდა.

**— მოდის მსოფლიოს ჩემპიონატი. ფავორიტები ჩამოგვითვალეთ თუ შეიძლება.**

— მოგება ნებისმიერ ამათგანს შეუძლია: ბრაზილიას, არგენტინას, გერმანიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას... საინტერესო ჩემპიონატს ველი.

# ინტერი თოფს ეპოტინება

## ადრიანო მორატის შვეიცარიიდან ელაპარაკა



ეშლი კოული

**ეშლი კოულის** შეძენა მილანის „ინტერს“ სურს. მილანელებს „პალერმოს“ მცველ ფაბიო გროსოს ყიდვა უნდოდათ, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. „პალერმო“ 6 მილიონ 800 ათას გირვანქას ითხოვდა, ხოლო „ინტერმა“ სამზე მეტის გადახდა არ ისურვა. მასიმო მორატი სიცილიურ კლუბს ფულის გარდა ორ ფეხბურთელს — ნიკოლა ბურდისოს და მარკო ანდრეოლისაც სთავაზობდა, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა.

„ინტერი“ ახლა ეშლი კოულის ტრანსფერზე იმუშავებს, რომელსაც გასული სეზონის ნახევარზე მეტი ტრავმის გამო გაუცდა და მეთოფეების ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. კოული ამჟამად ნაკრებთან ერთად ემზადება. შარშან, წესების დარღვევით მისი ყიდვა „ჩელსიმ“ სცადა, მაგრამ გაუგეს, რასაც „ჩელსისა“ და კოულის დაჯარიმება მოჰყვა.

ინგლისის ნაკრების მცველს „არსენალთან“ კონტრაქტი 2008 წელს ეწურება და გახანგრძლივებას არ აპირებს. მისი შეძენის მსურველთა შორისაა მადრიდის „რეალიც“.

„ინტერმა“ უკვე გადაიბირა „აიაქსის“ მარცხენა მცველი მაქსველი და კიდევ ერთი ფეხბურთელი სჭირდება ამ პოზიციაზე. კოული თუ არ გამოვა, მილანელები ვალენსიელ ემილიანო მორეტის ან ფიორენტინელ მანუელ პასკუალს მიადგებიან.

შვეიცარიაში მყოფმა ადრიანომ კი მასიმო მორატის შეუთვალა, „ინტერში“ სათანადო ცვლილებები თუ მოხდება, დავრჩებიო.

„მე ვუთხარი მორატის, რომ მხოლოდ მას შემდეგ დავტოვებ „ინტერს“, როცა რომელიმე დიდ ჯილდოს მოვიგებ. გარდა ამისა, ვთხოვე შემადგენლობის გადახალისება, რადგან მგონია, რომ ზოგიერთ ინტერელს გამარჯვებულის მენტალიტეტი არ აქვს, ეს კი აუცილებელია გუნდისთვის, რომელსაც ჯილდოების მოგება სურს.

რეკლამა სარბიელ-ში
ტელ:38-11-14, 877 54 55 00

# შეშინებული ჩელსიმ იყიდა

**„ჩელსიმ“** ნიგერიელი ნახევარმცველი ჯონ ობი მიკელი 16 მილიონ გირვანქად იყიდა. 19 წლის ფეხბურთელის გამო „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის სატრანსფერო ომი იყო გაჩაღებული და საბოლოოდ ლონდონელთა სასარგებლოდ დასრულდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ნორვეგიული „ლინის“ ფეხბურთელი შარშან დაიბევა და თითქოს მიკელსაც წითელი მაისურა უნდა ჩაეცვა, მაგრამ ნიგერიელმა ბოლოს თქვა, სიკვდილით მემუქრებოდნენ და შეშინებულმა მანჩესტერელებთან კონტრაქტს მოვაწერე ხელიო.

ნორვეგიულმა „ლინმა“ 4 მილიონი გირვანქა მიიღო, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“ 12 მილიონი ერგო.

შეგახსენებთ, რომ ჯონ ობი მიკელი „ჩელსისთვის“ მესამე საახალსეზონო შენაძენია. მათ უკვე გადაიბირეს მუქთად მიხაელ ბალაკი „ბაიერნიდან“ და იყიდეს ანდრეი შევჩენკო „მილანიდან“.

უილიამ გალასი „ჩელსიდან“ მიდის, კლუბს კი არ სურს ფრანგი მცველის გაშვება, რომელსაც „მილანი“ ეპატიჟება. გალასს ლონ-



ჯონ ობი მიკელი

დონელებთან კონტრაქტი 2008-ში უმთავრდება, მაგრამ ჯამაგირით უკმაყოფილოა. „ჩელსიმ“ კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა და ხელფასსაც უზრდის, თუმც ფრანგმა თქვა: „სეზონის დასაწყისში ჩემი თხოვნა არ შეასრულეს. უპატივცემულობას კი არავის ვაპატიებ. ახლა უფრო მეტს მთავაზობენ, ვიდრე „მილანი“ შემპირდა, მაგრამ გვიანია. აქედან წასვლას ვაპირებ.“

# ამხანაგური მატჩები



AFP მანჩესტერიდან

ჯერარდი იამაიკაზე მაღლა ახტა

## რუნის ფეხზე დეფო მიაბეს

**ინგლისი 6:0 იამაიკა**

**1:0 ლამპარდი (11), 2:0 ტეილორი (17ს.კ.), 3:0 კრაუჩი (29), 4:0 ოუენი (32), 5:0, 6:0 კრაუჩი (67, 89)**

**ინგლისი: რობინსონი (ჯეიმსი 46), კარაგერი, ფერდინანდი, ტერი (კემბელი 33), ე. კოული (ბრიჯი 35), ბექემი (ლენონი 68), ჯერარდი (დაუნინგი 77), ლამპარდი (კარიკი 68), ჯ. კოული, ოუენი, კრაუჩი**

**მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი**

**ინგლისმა** იამაიკას მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" 6:0 მოუგო. გოლების ნახევარი პიტერ კრაუჩმა გაიტანა, თუმცა ერთით მეტი შეეძლო — 82-ე წუთზე პენალტი ააცილა. ანგარიში მე-11 წუთზე ფრენკ ლამპარდმა გახსნა, კიდევ ერთი ჯერმინ ტეილორმა შეაგდო საკუთარ კარში და ერთიც მაიკლ ოუენისა გახლდათ. აქვე დავძინოთ, რომ კრაუჩის ერთი გოლი იამაიკელი ომარ დელეისგან ასხლეტით შევარდა სტუმრების კარში.

ერთი სიტყვით, სამი გოლისთვის ქება და დიდება პიტერ კრაუჩს, მაგრამ საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ 31 დეკემბრის შემდეგ დაშავებული და ახლახან გამოჯანმრთელებული მაიკლ ოუენიც, რომელმაც გარდა იმისა, რომ ერთი გოლი თავად შეაგდო, ერთი საგოლე პასი გადააწოდა და ერთიც, ის პენალტი მოინადირა, თავში რომ მოგახსენეთ.

ასე და ამგვარად, ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება მაჟორულად დაასრულა და ახლა, შაბათს ელის, რათა პარაგვაის ეკვეთოს. პარაგვაის ამბავი მოგეხსენებათ — ბოლო სპარინგი საქართველოსთან ჰქონდა და 1:0 მოიგო.

იამაიკასთან შეხვედრაში ინგლისელმა მიმომხილველებმა ყურადღება კლასიკურ განლაგებაზე, 4-2-2-ზე გაამახვილეს. სვენ გორან ერიკსონმა, ამას წინათ, უნგრეთთან საკმაოდ ექსპერიმენტული სქემით მოიგო 3:1, თუმცა, ამ სქემით კმაყოფილი ინგლისში მაინც და მაინც ბევრი ვერ ნახა. იამაიკასთან კი ყველაფერი გასაგებად იყო — კრაუჩი და ოუენი წინ ისე იდგნენ, როგორც ორი ფიორვარდით მოთამაშე გუნდების თავდამსხმელები დგანან ხოლმე. სტივენ ჯერარდის გაფორვარდებისა და ჯეიმი კარაგერის ბურთის მფლობელ ნახევარმცველად ქცევის მცდელობა აღარ ყოფილა — როგორც ამბობენ, პარაგვაისთან სწორედ ეს, „იამაიკური" შემადგენლობა ითამაშებს, გარდა, სავარაუდოდ კარაგერისა, რომელიც გარი ნევილის ადგილს იკავებდა დაცვის მარჯვენა ფრთაზე.

დაბოლოს, კიდევ ერთი ინგლისური ცნობა: სვენ-გორან ერიკსონს გერმანიაში მიჰყავს ჯერმენ დეფო. ის, მოგეხსენებათ, თავდამსხმელია, რომელიც წესითა და რიგით მუნდიალს შინიდან უნდა ადევნებდეს თვალს, მაგრამ როგორც ჩანს, უეინ რუნის ნატკენ ფეხს ჯერ კიდევ ახლავს კითხვის ნიშნები და თუ მანჩესტერელი გერმანიაში მაინც ვერ გაემგზავრება, შვედმა მწვრთნელმა ენდი ჯონსონს ისევ დეფო ამჯობინა — რუნი ოთხშაბათს ბოლო სკანირებას ჩაიტარებს და მანჩესტერიდან ან პირდაპირ გერმანიაში გაემგზავრება, სადაც ინგლისელები მანამდე მის გარეშე ჩავლენ, ან...

**პაპუნა ძედია**

## მოწამლულმა წააგო

**პოლონეთი 1:0 ხორვატია**

**1:0 შმოლარეკი (54)**

**პოლონეთი: ბორუცი, ბაკი (ბოზაცკი 76), ბაშჩინსკი, იოპი, ჟევლაკოვი, კრჟინოვეკი (კოსოვსკი 73), რადომსკი, შმოლარეკი (იელენი 83), სობოლევსკი (ლევანდოვსკი 85), შიმკოვიაკი (მილა 63), ჟურავსკი (რასიაკი 90)**

**მწვრთნელი: პაველ იანაში**

**ხორვატია: ბუტინა, შიმიჩი (ტოკიჩი 87), შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, ბაბიჩი, კრანჩარი (ბოშნიაკი 46), მოდრიჩი (ბალაბანი 73), ვრანიეში (ჟ. ლეკო 63), სრნა (ი. ლეკო 46), კლასნიჩი, ოლიჩი (ბუშატი 46)**

**მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი**

**პოლონეთთან** მატჩის წინ ხორვატებს შემადგენლობაში სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ტომისლავ ბუტინას, იოსიპ შიმუნიჩსა და ნაკრების კაპიტან ნიკო კოვაჩს ტრავმები აწუხებდათ. ექიმები შიშობენ, რომ შესაძლოა, მათ მუნდიალზე ბრაზილიასთან პირველი მატჩის გამოტოვება მოუხდეთ. ივიცა ოლიჩი, დარიო შიმიჩი, დადო პრსო, იერკო ლეკო, ტონი სერიჩი და ბოშკო ბალაბანი კი მუცლის ტკივილს უჩიოდნენ. როგორც გაირკვა, ისინი საჭმელმა მოწამლა, მაგრამ საგანგაშო არაფერია.

პირველ ტაიმში ხორვატები მეტოქეს აშკარად სჯობდნენ. კარგად თამაშობდა მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდი ივიცა ოლიჩი, თუმცა იგი ბოლო მომენტში სცოდავდა, ანაც პოლონელთა მეკარე არტურ ბორუცი ბრწყინავდა. დარიო სრნამ ჯარიმიდან ხარიხაც შეაზანზარა, მაგრამ ზლატკო კრანჩარის შეგირდებმა გოლი ვერ გაიტანეს.

შესვენების შემდეგ პოლონელები აშკარად უკეთ ათამაშდნენ და მალევე გაიტანეს კიდეც. ები შმოლარეკმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავურით გაგზავნა კარში. ხორვატები ისევ გააქტიურდნენ და გათანაბრება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ბოლო წუთებში კი დაღლილობა დაეტყოთ და პასიურად თამაშობდნენ, ხოლო პაველ იანაშის შეგირდებს თავი არ მოუკლავთ.

ვოლფსბურგის სტადიონზე შეკრებილი ქომაგები მაინცდამაინც კმაყოფილნი არ დარჩენილან, რადგან ორივე გუნდის თამაშში მრავლად იყო ტექნიკური წუნი.

„ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და კარგია, რომ მოვიგეთ. დაცვითი ტაქტიკით ვითამაშეთ, რომლის გამოცდაც გვინდოდა. ახლა ყველაფერს გავაანალიზებთ და ეკვადორთან მატჩისთვის საუკეთესოდ მოვემზადებით" — თქვა პაველ იანაშის თანაშემწემ მაცეი სკორჟამ.

**კოკი ძანძელაძი**



AFP ვოლფსბურგიდან

კლასნიჩმა (№17) ვერ გაიტანა

## სკოლარი სუსტებს ჩაგრავს



AFP მეციდან

მატჩის გმირი სიმაო საბროსა გახდა

**ლუქსემბურგი 0:3 პორტუგალია**

**0:1, 0:2 სიმაო (46, 73პ), 0:3 ფიგუ (85)**

**პორტუგალია: რიკარდუ, მიგელი, რ. კარვალიუ, ფ. მეირა (რიკარდუ კოშტა 60), ნუნუ ვალენტე, ფიგუ, მანიშე (ტიაგუ 68), კოშტინია (პეტიტი 46), დეკუ (სიმაო 46), რონალდუ (უგო ვიანა 71), პაულეტა (პოშტიგა 46)**

**მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი**

**საფრანგეთის** ქალაქ მეცში პორტუგალიის ნაკრები, რამდენიმე დღის წინ გერმანიისგან გაცამტვერებულ (0:7) ლუქსემბურგს შეხვდა და 3 გოლი აკმარა. ცოტა ხნის წინ პორტუგალიამ კაბო ვერდეს მოუგო 4:1, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარის ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა — სასპარინგოდ ასეთ სუსტ ნაკრებებთან თამაში რატომ არჩიაო.

პორტუგალიელთა რეალურ ძალაზე და ამჟამინდელ სათამაშო ფორმაზე ამ მატჩებით მართლაც ვერ იმსჯელებ. მით უმეტეს, რომ პირველ ტაიმში ლუქსემბურგმა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა გამოაცხო და კინაღამ ანგარიშიც გახსნა. მთლიანობაში სკოლარის შეგირდები, ცხადია, სრულ უპირატესობას ფლობდნენ და ბევრად მეტის გატანაც შეეძლოთ, თუმცა მეტოქის დამწუხრება მეორე ტაიმამდე ვერ შეძლეს.

ლუიშ ფიგუმ შეუცვლელად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კარგად გამოიყურებოდა კრიშტიანუ რონალდუც. მატჩის გმირი კი შეგვიძლია, სიმაოს ვუწოდოთ. ბენფიკელი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო და მყისვე გაიტანა. მან, ასევე შეცვლაზე შესული ელდერ პოშტიგას პასით შეაგდო.

ლუქსემბურგი 73-ე წუთამდე ისევ მედგრად უმკლავდებოდა მეტოქის იერიშებს. სანამ ალფონს ლევეკი პენალტს აიკიდებდა, მან ფიგუ წააქცია. თერთმეტმეტრიანი იმავე სიმაომ ზუსტად შეასრულა. წერტილი კი თავად ფიგუმ დასვა, როცა რიკარდუ კარვალიუს პასი შეირგო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ამხანაგური მატჩები



რაულმა 43-ე სანაკრებო გოლი შეაგდო

## რაულმა სტატიას გაუტანა

**ესპანეთი 2:0 ეგვიპტე**
1:0 რაული (14), 2:0 რეიესი (56)
**ესპანეთი:** კასილიასი, ა. ლოპესი, პუიოლი, სერხიო რამოსი, პაბლო (ხუანიტო 85), ალბელდა (ხაბი ალონსო 46), ფაბრეგასი (ინიესტა 67), სენა (ხავი 46), რაული (ლუის გარსია 61), ფ. ტორესი, ვილია (რეიესი 46)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი

**ესპანელებმა** აფრიკის ჩემპიონ ეგვიპტეს რაულის იღბლიანი და ხოსე ანტონიო რეიესის ჩინებული დარტყმებით მოუგეს.

რაული, მოგეხსენებათ, თავისი ქვეყნის პრესას დიდი განსჯის საგნად ჰყავდა ქცეული. იწერებოდა და იწერებოდა სტატიები რომელთა ავტორები ცდილობდნენ გაერკვიათ, გამოადგება თუ არა „რეალის" კაპიტანი ესპანეთის ნაკრებს, მაგრამ ლუის არაგონესმა ის 23 კაცში შეიყვანა და მანაც, შაბათს, ელჩეს სტადიონზე, მე-14 წუთზე გახსნა ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ ამ გოლის შემდეგ მასპინძლებს დაუღალავი სტუმრების კარისკენ მიჭყლეტა ფრიად გაუჭირდათ, თუმცა მეორე გოლი მაინც შეაგდეს — რეიესმა ბურთი აფრიკელთა კარში საჯარიმო დარტყმით შეაბზრიალა. ასე და ამგვარად, არაგონესის ბიჭები ახლა, უკვე 21 თამაშია წაგების გარეშე მიდიან და სამუნდიალო მზადებას ოთხშაბათს, ჟენევაში, ხორვატებთან თამაშით დაასრულებენ.

არაგონესი: „ჩვენ სულ უკეთ და უკეთ ვთამაშობთ, მაგრამ სრულ კმაყოფილებას მაინც ვერ ვგრძნობ, რადგან ჩვენს მოქმედებებში ჯერ კიდევ არის ისეთი ასპექტები, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია. მაგალითად, ბურთს იოლად ვკარგავთ და ამით მეტოქეს საგოლე მომენტების შექმნის საშუალებას ვაძლევთ, რაც ეგვიპტესთან შეხვედრაში კარგად გამოჩნდა".

რაულმა ხუთი მეტრიდან შეაგდო დაუცველ კარში, კარი კი დაუცველი იმიტომ იყო, რომ მეკარე ესამ ალ ჰადარიმ ანტონიო ლოპესის შორეული დარტყმა მოიგერია და გაზონზე იწვა. ეს გახლდათ მადრიდელის 43-ე გოლი 94-ე სანაკრებო შეხვედრაში.

მაგრამ არაგონესს უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად ჰქონდა — ესპანელებს ბურთის ფლობის მიუხედავად, ნახევარდაცვიდან კარის მიმართულებით სვლა აკლდათ და პირველი ტაიმის ბოლოს სიმწვავით მეტოქეც კი სჯობდა.

როგორც მოგახსენეთ, მასპინძლები არც მეორე ტაიმში გამოირჩეოდნენ დიდი გამწვავებით, უბრალოდ, რეიესმა საჯარიმო დაარტყა ძალიან კარგად.

ესპანელთა კარში აშკარა გოლის შეგდება შეეძლო აბუტრიკას, მაგრამ მან, კასილიასისგან პირდაპირ მის ფეხებში მოგერიებული ბურთი სასურველ გზას ვერ გაუყენა.

**პაპუნა ბედია**

## ტოიოტაზე მტრედი დაჯდა

**ჩეხეთი 3:0 ტრინიდადი**
1:0 კოლერი (6), 2:0 ნედვედი (22), 3:0 კოლერი (40)
**ჩეხეთი:** ჩეხი, უიფალუში, როზენალი, გრიგერა, იანკულოვსკი (მარეში 79), პობორსკი (შტაინერი 61), პლასილი, პოლაკი (ჰაინცი 61), ნედვედი (ჟირანეკი 81), კოლერი (ლოკვენცი 61), ბაროში (სიონკო 46)
მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი
**ტრინიდადი:** ჯეკი, ენდრიუსი, გრეი, ე. ჯონი (ჩარლზი 46), ლოურენსი, ბირჩალი (უიტლი 46), ედვარდსი (ჯონსი 69), თეობოლდი (ვოლფი 77), შ. ჯონი, სამუელი, იორკი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

**ჩეხეთის** ნაკრებმა წინასამუნდიალო მესამე ამხანაგური მატჩიც მოიგო და გერმანიაში ჩინებული განწყობით მიემგზავრება. საუდეთის (2:0) და კოსტა რიკის (1:0) დამარცხების შემდეგ კარელ ბრიუკნერის შეგირდებმა ტრინიდადი გაანადგურეს, რომლებისთვისაც ეს მიჯრით მესამე მარცხი იყო. ლეო ბეენჰაკერის გუნდი ძალიან სუსტად გამოიყურება და მსოფლიოს ჩემპიონატის აუტსაიდერის სტატუსს ამართლებს.

პრაღის „ტოიოტა არენაზე" მისულმა ქომაგებმა პირველი გოლი უკვე მე-6 წუთზე იხილეს, როდესაც იან კოლერმა კარელ პობორსკის პასით შეაგდო. მალევე ტრინიდადელებს, ალბათ, მთელი მატჩის მანძილზე ერთადერთი აშკარა საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ პეტრ ჩეხთან პირისპირ გასულმა შტერნ ჯონმა ვერ ივარგა.

22-ე წუთზე ტრინიდადელები მშვიდად უყურებდნენ, როგორ მისცა პასი მილან ბაროშმა კოლერს, მან კი ბურთი პაველ ნედვედს გადააწოდა, რომელმაც იოლად გაიტანა. ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი ისევ პობორსკი-კოლერის ორსვლიანი კომბინაცია და — 3:0.

ამის მერე ჩეხებმა მეტოქე დაინდეს და მეტი აღარ გაუტანეს. ფეხებს უფრთხილდებოდნენ ტრინიდადელებიც. მეორე ტაიმში ყველაზე საინტერესო მტრედი იყო, რომელიც დაახლოებით 10 წუთი მინდორზე დადიოდა. იგი ფეხბურთელებს არ აწუხებდა, მოთამაშეები კი — მას.

**გიორგი ძაძამიძე**



კოლერმა დუბლი შეასრულა

## კუნი ბიჭებს ქალაქ-ქალაქ დაატარებს



ლუდოვიკ მანინის (№3) წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა

**შვეიცარია 4:1 ჩინეთი**
1:0 ფრეი (40), 2:0 შტრელერი (47), 3:0 ფრეი (49პ), 4:0 შტრელერი (73), 4:1 დონგი (90)
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი (ბენალიო 46), გრიხტინგი, მიულერი (მ. იაკინი 71), მანინი, ბეჰრამი (ფ. დეგენი 42), კაბანასი (ჯემაილი 63), ფოგელი (მარგარიაცი 46), ვიკი (შპიხერი 46), დ. დეგენი, ფრეი, შტრელერი
მწვრთნელი: იაკობ კუნი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის წინა, რვადღიანი სპარინგ-სამზადისით შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი კობი კუნი უკიდურესად კმაყოფილი დარჩა — შაბათს კუნის გუნდმა, რომელიც სიყმაწვილით მუნდიალის მონაწილეთა შორის მესამეა, ჩინელებს 4:1 მოუგო. ეს გახლდათ მესამე მატჩი და პირველი გამარჯვება, კოტ დივუარელებთან და იტალიელებთან 1:1-ების შემდეგ.

„ნანახით უკიდურესად კმაყოფილი დავრჩი — თქვა კუნმა შაბათ საღამოს — ამ სამ თამაშს ვარჯიშებსაც თუ დავამატებთ, შეიძლება ითქვას, რომ გუნდი ზუსტად ისეთია, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მინდოდა რომ ყოფილიყო. სამი ამხანაგური თამაშის შერჩევისას ჩვენთვის იმდენად მეტოქეთა ძალა არ იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამ თამაშების განრიგი. მეტიც, მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით, სამი თამაშის ჩასატარებლად ორი დღით მეტი გვექნება, ვიდრე ამხანაგურებისას გვქონდა. თან შევეცადეთ, ქალაქიდან ქალაქში გვემოგზაურა და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ისეთი გარემო შეგვექმნა, მუნდიალზე რომ იქნება".

შვეიცარიელები ცენტრალური მცველის, ფილიპ სენდეროსის გარეშე თამაშობდნენ — სენდეროსმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და გუნდის მწვრთნელებმა მისი დასვენება ამჯობინეს — და თითქოს მთლად შეუვალნი აღარ იყვნენ. ჩინელებმა დიახაც შეუტიეს მასპინძლებს და მომენტებიც შექმნეს — მაგალითად ჰან პენგმა 25-ე წუთზე ბურთი ძელსაც გაარტყა და ასხლეტილიც იხელთა, მაგრამ კარში ვეღარ შეაგდო, ხოლო ამ ამბიდან ათი წუთის შემდეგ, ხუ ლიანგმა საჯარიმოში ლი ინიუს მიაწოდა, რომელმაც ყველაფერი კარგად მოახერხა საბოლოო დარტყმის გარდა — მაგრამ მე-40 წუთზე ანგარიში მაინც შვეიცარიამ გახსნა, ალექს ფრეიმ ახლოდან შეაგდო ბურთი კარში.

მეორე გოლი მასპინძლებმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გაიტანეს, რაშიც ფორვარდ მარკო შტრელერს, მეკარე ლი ლეიისგან ბურთის პირდაპირ მისკენ ასხლეტამ შეუწყო ხელი.

ამ მომენტიდან აშკარად გამოჩნდა, რომ ჩინელები გატყდნენ, შვეიცარიელებმა კი მთელი ძალები მათ დასარბევად გადაისროლეს — ლუდოვიკ მანინი ლი ვეიფენგმა წააქცია თავის საჯარიმოში, ხოლო თერთმეტმეტრიანი ბოლო სამი თვის განმავლობაში ტრავმის მკურნალობით დაკავებულმა ფრეიმ ცივად შეაგდო. ეს გახლდათ ფრეის 25-ე გოლი 45-ე სანაკრებო თამაშში.

ბოლო გოლი კი ისევ შტრელერმა შეაგდო, თუმცა საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე აშკარაზე აშკარად შეეძლო კიდევ ერთის გატანა და ააცილა.

სტუმართაგან გული დონგ, ფანგჟუომ, წამატებულ წუთებში თავით გატანილი გოლით მოიფხანა.

**პაპუნა ბედია**

## ამხანაგური მატჩი

**ჰოლანდია 1:1 ავსტრალია**

1:0 ვან ნისტელროოი (9), 1:1 ჩეჰილი (54)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, კრომკამპი (ჰეიტინგა 46), მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი (კუიტი 64), სნეიდერი (ლანძაატი 50), ვან ბომელი, კოკუ (მადურო 37), რობენი, ვან ნისტელროოი, ვან პერსი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
ავსტრალია: შვარცერი, ნილი, მური, ჩიპერფილდი, ბრეშიანო (ტომპსონი 67), კულინა, ემერტონი, გრელა, სტერიოვსკი (ჩეჰილი 51), ვიდუკა (ალოიზი 65), უილკშირი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

# ვან ბასტენი დასახვეწია

**ჰოლანდიამ** როტერდამში ვერ მოუგო ავსტრალიას, მატჩს კი ამხანაგურისა არაფერი ეტყობოდა, რადგან ხშირი იყო გაწევ-გამოწევა და 61-ე წუთზე სტუმრებს ლუკ უილკშირი გაუძევეს. ავსტრალიელთა მწვრთნელ გუს ჰიდინკს კი „ფეიენოორდის“ ფანებმა უსტვინეს აქაოდა, პსვ-ს ყოფილი თავკაციაო.

მარკო ვან ბასტენმა მექსიკასთან მოგებული მატჩისგან განსხვავებით, სადაც სათადარიგოები ათამაშა, ავსტრალიელებს ძირითადი შემადგენლობა დაუპირისპირა, ხოლო ჰიდინკი სამუნდიალო მზადებისას ექსპერიმენტებს არ ატარებს და „ნარინჯისფერებს“ 11 ძირითადი გაუყვანა მოედანზე.

მეცხრე წუთზე ანდრე ოიერმა ოციოდ მეტრიდან დაარტყა, ბურთი მარკ შვარცერმა მოიგერია, მაგრამ მუდამ საჯარიმოში მოხეტიალე ვან ნისტელროოიმ საგოლედ დაამატა და გაანაწყენა მისი აღმზრდელი და ყოფილი მწვრთნელი ჰიდინკი.

ავსტრალიელები ერთფეროვნად უტევდნენ, რაც საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებაში გამოიხატებოდა, ჰოლანდიელი მცველები კი მეტოქე ფორვარდებს ჰაერში სჯობნიდნენ. ხოლო „ნარინჯისფერთა“ ყველა შეტევა მეტად სახიფათო იყო. 23-ე წუთზე ვინჩენცო გრელამ ვან პერსის თავიდან ბურთი ხელით „მოუხსნა“, მაგრამ მსაჯებმა ეს ვერ შენიშნეს. ამის მერე მარკ შვარცერმა ორი ურთულესი დარტყმა მოიგერია, 37-ეზე კი ფილიპ კოკუ დაშავდა და მის ნაცვლად ჰედვიგეს მადურო შევიდა.

ავსტრალიას ნაღდი შანსი ტაიმის მიწურულს ჰქონდა. მარკ ვიდუკა თავით მაღალ კუთხეში გზავნიდა ბურთს, მაგრამ ვან დერ სარი სასწაულებრივ მისწვდა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ცხრა წუთში მატიისენმა ვიდუკა საპენალტედ წააქცია. თერთმეტი მეტრიდან ვიდუკამ დაარტყა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე ვან დერ სარის ზურგს, მერე კი დასწრებაზე ტიმ ჩეჰილმა იყოჩაღა და ანგარიში გაათანაბრა.

გოლის შემდეგ ჰოლანდიამ უფრო გააფრებით შეუტია. არიენ რობენმა 12 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ შვარცერმა ივარგა, რომელმაც წუთის შემდეგ კიდევ ერთხელ იხსნა ოზები.

ავსტრალიელებს 61-ე წუთიდან კიდევ უფრო გაუჭირდათ, რაკი ლუკ უილკშირმა ზედიზედ ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და სტუმრები ათნი დარჩნენ, მაგრამ მასპინძელთა იერიშებს გაუძლეს.

ჰოლანდიისთვის ეს ბოლო მოსამზადებელი მატჩი იყო გერმანიაში ჩასვლამდე, ვან ბასტენმა კი თქვა: „ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც მსურდა. ბევრი რამ დასახვეწია. მომენტები ბლომად გვქონდა შეხვედრის ბოლოს, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ“.

გუს ჰიდინკი: „ჩემმა ნაკრებმა რამდენიმე თვეში დიდი პროგრესი განიცადა. ჩვენ ტაქტიკურად გამართულ, კარგ გუნდს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. მიუხედავად იმისა, რომ კაცი გაგვიძევეს, მეტოქემ ფიზიკურად ვერ დაგვჩაგრა“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მონაკოს ლეკო

**ხორვატი** იერკო ლეკო ფრანგულმა „მონაკომ“ იყიდა. რა თანხა მიიღო კიევის „დინამომ“ 26 წლის ფეხბურთელში, ჯერ უცნობია, ტრანსფერის სხვა დეტალებიც არ ხმაურდება. 2003 წელს უკრაინულმა კლუბმა ლეკო 4 მილიონი ევროს სანაცვლოდ ზაგრების „დინამოდან“ იყიდა.

„მინდოდა, ძლიერ ევროპულ გუნდში გადავსულიყავი და „მონაკო“ სწორედ ასეთია. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვითამაშო და ეროვნულ ნაკრებში ადგილი არ დავკარგო“ — განაცხადა ლეკომ.

ლეკო ხორვატიის ღირსებას 2002 წლის მაისიდან იცავს, თუმცა იმ წლის მუნდიალზე არ წაიყვანეს. სამაგიეროდ, განაცხადში იყო ევრო 2004-ზე, მაგრამ მხოლოდ 22 წუთი ითამაშა. ახლა გერმანიაში მიემგზავრება და იმედი აქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში იქნება.



**კოკი კანდელაკი**



**ჰოლანდიელმა** ნახევარმცველმა ფილიპ კოკუმ კარიერის დასრულება სულ მცირე, ერთი წლით გადადო. მან პსვ-სთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულამდე გაახანგრძლივა. მოგეხსენებათ, ვეტერანი ფეხბურთელი ეინდჰოვენელთა კაპიტანია.

# კოკუმ არ ჩამოკიდა

„ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. ფილიპი კლუბის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და გუნდის ლიდერია. მისი დარჩენა მომავალი გამარჯვების საწინდარია“ — თქვა პსვ-ს პრეზიდენტმა რობ ვესტერჰოფმა.

თავად ფეხბურთელს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. იგი ახლა მუნდიალისთვის ემზადება და ნაკრებზე ფიქრობს. 35 წლის კოკუსა და პსვ-ს შორის ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება ძალიან გაიწელა და როგორც იქნა, მხარეებმა შეთანხმება შეძლეს. ცოტა ხნის წინ, ვეტერანი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებასაც აპირებდა.

**კოკი კანდელაკი**

# შვილმა ვიდუკა ნაკრებიდან გააგდო

**ავსტრალიის** ნაკრების მთავარმა ვარსკვლავმა, თავდამსხმელმა მარკ ვიდუკამ განაცხადა, რომ გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ეროვნული გუნდიდან წავა. ბუნებრივია, ვარსკვლავის ასეთ გადაწყვეტილებას „სოკერუს“ ქომაგები გაოცებითა და უკაყოფილებით შეხვდნენ, თავად ვიდუკამ კი მის მდგომარეობაში შესვლა ითხოვა.

„ერთი შვილი უკვე მყავს და საცაა მეორეს ველოდები, ოჯახში კი იშვიათად მიწევს ყოფნა — განაცხადა მან — ევროპელი ფეხბურთელებისთვის კლუბიდან ნაკრებში ჩასვლას ორ-სამ საათიანი ფრენა სჭირდება, მე კი პლანეტის მეორე ბოლოში მიხდება მოგზაურობა. ამის შემდეგ ძალთა აღსადგენად მთელი კვირა მჭირდება ხოლმე“.



## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი**
**XL ტური**

სპორტინგი — ფეროლი 3:1; ტენერიფე — ელჩე 0:0; ხერესი — ხიმნასტიკი 0:0; სიუდად მურსია — მურსია 1:0; ნუმანსია — უელვა 0:3; ერკულესი — ალბასეტე 2:1; ვალიადოლიდი — პოლი ეხიდო 0:1; ალმერია — რეალი B 3:2; ეიბარი — ლევანტე 1:1; კასტელიონი — მალაგა B 2:2; ლორკა — ლეიდა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელვა | 40 | 21 | 12 | 7 | 64:30 | 75 |
| ხიმნასტიკი | 40 | 23 | 6 | 11 | 47:35 | 75 |
| ლევანტე | 40 | 19 | 13 | 8 | 52:39 | 70 |
| სიუდად მურსია | 40 | 19 | 11 | 10 | 51:42 | 68 |
| ლორკა | 40 | 19 | 10 | 11 | 58:41 | 67 |
| ალმერია | 40 | 19 | 7 | 14 | 51:40 | 64 |
| ხერესი | 40 | 16 | 13 | 11 | 54:43 | 61 |
| ნუმანსია | 40 | 17 | 9 | 14 | 43:48 | 60 |
| რეალი B | 40 | 16 | 7 | 17 | 52:45 | 55 |
| სპორტინგი | 40 | 12 | 16 | 12 | 40:34 | 52 |
| პოლი ეხიდო | 40 | 15 | 7 | 18 | 43:49 | 52 |
| ალბასეტე | 40 | 14 | 10 | 16 | 41:54 | 52 |
| მურსია | 40 | 13 | 12 | 15 | 39:37 | 51 |
| ვალიადოლიდი | 40 | 13 | 12 | 15 | 51:52 | 51 |
| ელჩე | 40 | 13 | 12 | 15 | 45:52 | 51 |
| ერკულესი | 40 | 13 | 12 | 15 | 38:46 | 51 |
| ტენერიფე | 40 | 13 | 10 | 17 | 50:57 | 49 |
| კასტელიონი | 40 | 12 | 12 | 16 | 42:49 | 48 |
| ლეიდა | 40 | 12 | 10 | 18 | 42:49 | 46 |
| ფეროლი | 40 | 7 | 15 | 18 | 43:61 | 36 |
| მალაგა B | 40 | 7 | 12 | 21 | 35:60 | 33 |
| ეიბარი | 40 | 5 | 16 | 19 | 26:44 | 31 |

## აშშ

**მეიჯორ სოკერ ლიგა**
**XI ტური**

ვაშინგტონი — ნიუ ინგლენდი 1:0; დალასი — კოლუმბუსი 1:2; ჰიუსტონი — ლოს ანჯელესი 2:1; კანზასი — ნიუ იორკი 1:1; სოლტ ლეიკი — ჩიკაგო 3:1; ჩივასი — კოლორადო 4:1

## იტალია

**სერია A/B. პლეი ოფი**
**საპასუხო მატჩები**

მანტოვა 1:1 მოდენა (0:0)
ტორინო 1:0 ჩეზენა (1:1)

**სერია B/C. პლეი აუტი**
**პირველი მატჩი**

აველინო 0:2 ალბინოლეფე

**სერია C1/A. პლეი ოფი**
**ნახევარფინალი**
**საპასუხო მატჩები**

ჯენოა 2:1 სალერნიტანა (1:2)
მონცა 2:0 პავია (1:1)

**სერია C1/B. პლეი ოფი**
**ფინალი. პირველი მატჩი**

გროსეტო 0:0 ფროზინონე

## ბელგია

**გადასასვლელი**
**პლეი ოფი**
**V ტური**

გეელი 1:2 ლომელი
ვიგორი 2:0 ლიერსი

## დანია

**I დივიზიონი**
**XXVIII ტური**

ბრიონსჰიოი 2:5 ლიუნგბიუ
ჰელერუპი 3:2 რანდერსი

## რუმინეთი

**A დივიზიონი**
**XXIX ტური**

გლორია — კლუჟი 1:2; ბაკაუ — ვასლუი 0:2; ფარული — ოცელული 0:1; დინამო — ნაციონალი 2:1; პანდური — პოლი ტიმიშოარა 3:2; პოლიტეხნიკა — არჯეში 3:2; სტიაუა — პეტროსანი 1:0; რაპიდი — სპორტული 3:0

## ნორვეგია

**I დივიზიონი. XI ტური**

ალესუნდი 3:1 სტრიომსგოდსეტი

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. IX ტური**

იარო — ტურკუ 5:0; ჰიკ — ჰაკა 1:2; ჰონკა — მიუპა 2:2; ინტერი — ვაასა 2:0; კტპ — მარიეჰამნი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 16 |
| მიუპა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| ჰონკა | 7 | 4 | 2 | 1 | 13:10 | 14 |
| მარიეჰამნი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | 13 |
| ჰაკა | 9 | 3 | 3 | 3 | 7:6 | 12 |
| ტურკუ | 8 | 3 | 2 | 3 | 17:13 | 11 |
| ინტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ლაჰტი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| ჰიკ | 7 | 2 | 2 | 3 | 6:7 | 8 |
| იარო | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 7 |
| კტპ | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | 7 |
| ვაასა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| კუოპიო | 7 | 0 | 3 | 4 | 3:13 | 3 |

## შვედეთი

**სუპერეტა. IX ტური**

ფალკენბერგი 0:0 ძვიდინგი
სუნდსვალი 0:1 იონკოპინგი

## სლოვენია

**I ლიგა. XXXVI ტური**

ბელა კრაინა — კოპერი 0:3; დრავა პტუი — ნაფტა 2:0; დომზალე — მარიბორი 2:0; ნოვა გორიცა — რუდარი 4:0; პუბლიკუმი — პრიმორიე 0:1

## ირლანდია

**პრემიერდივიზიონი. XII ტური**

დროჰედა — ბოჰემიანსი 1:0; დუბლინ სიტი — კორკი 0:4; უოტერფორდი — სენტ პატრიკსი 1:3; შელბურნი — ბრეი 4:1; დუბლინი — დერი 0:0; სლიგო — ლონგფორდი 3:1

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XXX ტური**

შოპრონი — ფერენცვაროში 1:1; დებრეცენი — ლომბარდ პაპა 4:1; უიპეშტი — ფეჰერვარი 1:3; ვაშაში — მტკ 2:1; დიოშდიორი — დიორი 1:1; პეჩი — ზალაეგერსეგი 0:0; რეაკი — კაპოშვარი 0:3; ტატაბანია — ჰონვედი 3:1

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12**

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. 9 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 1 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.28 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.15 | 3.37 |
| 20:00 | 2 | გერმანია-კოსტა რიკა 0:1 | 1.75 | 3.80 | 3.60 | | | |
| 23:00 | 3 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.90 | 3.20 | 4.20 | 1.19 | 1.30 | 1.81 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 4 | ინგლისი-პარაგვაი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 17:00 | 5 | ინგლისი-პარაგვაი 0:1 | 2.70 | 3.40 | 2.17 | | | |
| 20:00 | 6 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.28 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.13 | 3.19 |
| 20:00 | 7 | შვედეთი-ტრინიდადი 0:1 | 1.75 | 3.70 | 3.45 | | | |
| 23:00 | 8 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.52 | 3.60 | 7.00 | 1.06 | 1.24 | 2.37 |
| 23:00 | 9 | არგენტინა-კოტ დივუარი 0:1 | 2.50 | 3.40 | 2.30 | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 20:00 | 11 | მექსიკა-ირანი | 1.50 | 3.60 | 7.10 | 1.05 | 1.23 | 2.38 |
| 20:00 | 12 | მექსიკა-ირანი 0:1 | 2.35 | 3.50 | 2.45 | | | |
| 23:00 | 13 | პორტუგალია-ანგოლა | 1.37 | 4.10 | 9.00 | 1.02 | 1.18 | 2.81 |
| 23:00 | 14 | პორტუგალია-ანგოლა 0:1 | 2.00 | 3.60 | 2.75 | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 15 | იტალია-განა | 1.45 | 3.70 | 8.00 | 1.04 | 1.22 | 2.52 |
| 23:00 | 16 | იტალია-განა 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.35 | | | |
| 20:00 | 17 | ჩეხეთი-აშშ | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 17:00 | 18 | იაპონია-ავსტრალია | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 19 | ს.კორეა-ტოგო | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 20:00 | 20 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 21 | ბრაზილია-ხორვატია | 1.45 | 3.60 | 7.80 | 1.03 | 1.22 | 2.46 |
| 23:00 | 22 | ბრაზილია-ხორვატია 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.70 | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 23 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 3.20 | 4.70 | 1.15 | 1.30 | 1.90 |
| 20:00 | 24 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.95 | 3.10 | 3.85 | 1.19 | 1.29 | 1.71 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 47 | ფრედერისია-ფრემადი | 2.00 | 3.60 | 2.85 | 1.28 | 1.17 | 1.59 |
| 15:00 | 48 | კოლდინგი-კიოგე | 2.40 | 3.60 | 2.45 | 1.44 | 1.21 | 1.45 |
| 17:00 | 49 | ბრაბრანდი-ოლსტიკე | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 17:00 | 50 | ჰერფოლგე-ფრემი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 17:00 | 51 | ნიკობინგი-ავედორე | 2.45 | 3.60 | 2.40 | 1.45 | 1.21 | 1.44 |
| 17:00 | 52 | ვეილე-სკოვლუნდი | 1.10 | 7.00 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.66 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 61 | ჰამარი-მოლდე | 1.90 | 3.40 | 3.65 | 1.21 | 1.24 | 1.76 |
| 20:00 | 62 | ლინი-ვიკინგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 63 | ოდ გრენლანდი-ფრედრიკსტადი | 1.95 | 3.40 | 3.40 | 1.23 | 1.23 | 1.70 |
| 20:00 | 64 | სანდეფიორდი-სტარტი | 2.45 | 3.30 | 2.65 | 1.40 | 1.27 | 1.46 |
| 20:00 | 65 | ტრომსო-ლილესტრომი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 66 | როზენბორგი-ბრანი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 67 | სტაბეკი-ვოლერენგა | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 68 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 2.05 | 3.40 | 2.90 | 1.27 | 1.20 | 1.56 |
| 20:00 | 69 | ლოვ ჰამი-ჰამკამი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 20:00 | 70 | მოსი-ფეილდი | 1.45 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 20:00 | 71 | პორს გრენლანდი-ბოდო გლიმტი | 3.65 | 3.50 | 1.85 | 1.78 | 1.22 | 1.21 |
| 20:00 | 72 | სოგნდალი-მანგლერუდი | 1.30 | 4.80 | 8.50 | 1.02 | 1.12 | 3.06 |
| 20:00 | 73 | სპარტა ს-ჰონეფოსი | 2.80 | 3.40 | 2.25 | 1.53 | 1.24 | 1.35 |
| 20:00 | 74 | ტრომსდალენი-ბრინი | 3.10 | 3.50 | 2.00 | 1.64 | 1.21 | 1.27 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 75 | ატვიდაბერგი-ნორჩოპინგი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 21:00 | 76 | დეგერფორსი-ტრელებორგი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 21:00 | 77 | ლიუნგსკილე-ბრომაპოიკარნა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 78 | ორებრო-ვესბი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 21:00 | 79 | უმეა-ასირიასკა | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 80 | მიალბი-ლანდსკრონა | 3.25 | 3.40 | 2.05 | 1.66 | 1.25 | 1.27 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები Roland Garros** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 13:00 | 108 | ნადალი-ხიუიტი | 1.04 | | 7.00 | | | |
| 13:00 | 109 | ა. მარტინი-ბენეტე | 1.50 | | 2.20 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.55 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.90 |
| 10003 | პოლონეთი-ეკვადორი | 2.20 | 2.10 | 4.50 | 1.07 | 1.47 | 1.43 |
| 10004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.50 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.96 |
| 10008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.85 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.55 |
| 10010 | ჰოლანდია-სერბეთი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10011 | მექსიკა-ირანი | 1.80 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.64 |
| 10013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.55 | 2.80 | 6.00 | 1.00 | 1.23 | 1.90 |
| 10015 | იტალია-განა | 1.75 | 2.50 | 5.50 | 1.02 | 1.32 | 1.71 |
| 10017 | ჩეხეთი-აშშ | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10018 | იაპონია-ავსტრალია | 2.90 | 2.00 | 2.90 | 1.18 | 1.45 | 1.18 |
| 10019 | ს.კორეა-ტოგო | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.00 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.50 | 1.50 |
| 10021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | პოლონეთი-ეკვადორი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11004 | ინგლისი-პარაგვაი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11010 | ჰოლანდია-სერბეთი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | მექსიკა-ირანი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11015 | იტალია-განა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11017 | ჩეხეთი-აშშ | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11018 | იაპონია-ავსტრალია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11023 | ესპანეთი-უკრაინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | გერმანია-კოსტა რიკა | 2.10 | 1.60 |
| 12003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.10 | 1.60 |
| 12008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მექსიკა-ირანი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | პორტუგალია-ანგოლა | 2.00 | 1.60 |
| 12015 | იტალია-განა | 1.70 | 1.90 |
| 12017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12018 | იაპონია-ავსტრალია | 1.60 | 2.00 |
| 12019 | ს.კორეა-ტოგო | 1.60 | 2.00 |
| 12020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 12021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 12023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 2.00 |
| 12024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.90 | 1.60 |
| 13003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.90 | 1.60 |
| 13008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.90 | 1.60 |
| 13010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მექსიკა-ირანი | 1.90 | 1.60 |
| 13013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.90 | 1.60 |
| 13015 | იტალია-განა | 1.90 | 1.60 |
| 13017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.80 |
| 13020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.80 |
| 13021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 13023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.08 | 2.90 |
| 14003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.60 | 2.30 |
| 14004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.08 | 2.90 |
| 14008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.30 | 2.50 |
| 14010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.60 | 2.20 |
| 14011 | მექსიკა-ირანი | 1.20 | 2.60 |
| 14013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 2.90 |
| 14015 | იტალია-განა | 1.20 | 2.60 |
| 14017 | ჩეხეთი-აშშ | 1.60 | 2.20 |
| 14018 | იაპონია-ავსტრალია | 1.90 | 1.90 |
| 14019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 2.10 |
| 14020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.40 | 2.40 |
| 14021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.20 | 2.60 |
| 14023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.35 | 2.40 |
| 14024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | გერმანია-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | პოლონეთი-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ინგლისი-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | შვედეთი-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჰოლანდია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მექსიკა-ირანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | პორტუგალია-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | იტალია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჩეხეთი-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | იაპონია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ს.კორეა-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.06 | 5.50 |
| 16003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.32 | 2.60 |
| 16004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.22 | 3.40 |
| 16006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.06 | 5.50 |
| 16008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.17 | 3.80 |
| 16010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.38 | 2.55 |
| 16011 | მექსიკა-ირანი | 1.17 | 3.80 |
| 16013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 5.00 |
| 16015 | იტალია-განა | 1.16 | 3.80 |
| 16017 | ჩეხეთი-აშშ | 1.32 | 2.60 |
| 16018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 16019 | ს.კორეა-ტოგო | 1.50 | 2.20 |
| 16020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.25 | 3.00 |
| 16021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.13 | 4.00 |
| 16023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.30 | 2.75 |
| 16024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.35 | 2.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | არგენტინა-კოტ დივუარი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | იტალია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.95 |
| 17020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ბარბაროსთა ტურნე. 4 ივნისი. თბილისი. «მიხეილ მესხი»

## საქართველო 19:28 ბარბაროსები

# ბარბაროსებმა აგვწიეს



ქართველთა მესამე, გუნდური ლელო მამუკა მაგრაქველიძემ გაიტანა

გაგი კოკოლაძის ფოტოები



„ბარბაროსთა“ მესამე ლელო კი სტივ ჰენდლისა იყო

„ბარბაროსებიც“ გავიცანით, გუნდი, რომელიც საუკუნეზე მეტისაა, ასე ქვეყნიდან ქვეყანაში დადის და მისიონერივით ქადაგებს ამ ჯიგრიან ბურთაობას. ვერას მოგახსენებთ, ასი წლის წინ რა ხდებოდა, მაგრამ გუშინ ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ მსოფლიო ვარსკვლავების ამ კრებულს ბარბაროსობის და ვანდალიზმის არაფერი ეტყობოდა. ტონი მარში, კევინ მაგსი, ჯეიკობ რაულუნი და სხვანი ლაღად და თავაუტკივებლად თამაშობდნენ და რაგბის ყურებაში გაუცვეთავი თვალიც შეამჩნევდა, რომ ბურთაობისაგან სიამოვნებას იღებდნენ. ცოტა მათმა კაპიტანმა ბობ სკინსტადმა გადაამლაშა და აქა-იქ კინკლაობის და მცირე გაწევ-გამოწევის საბაბი შვა, მაგრამ სამხრეთაფრიკელია, მისი თვისტომებისგან კი უხეში და უკომპრომისო თამაში ქართველ მორაგბეებს ახსოვთ და არ უკვირთ.

აქედანვე სათქმელია, რომ „ბარბაროსებმა“ ტრადიციულად უარი თქვეს საჯარიმოების დარტყმაზე და თავიდანვე ისეთი რაგბი გააჩაღეს, სადაც საჯარიმო სიტუაციები ნაკლებად იქმნებოდა. „ბორჯღალოსნებიც“ მძიმედ, მაგრამ მაინც აჰყვნენ სტუმრებს და ამხანაგურად შეტოქებულმა გუნდებმა ლამაზი სარაგბო სანახაობა და მრავალი ლელო აჩუქეს „მიხეილ მესხის“ ხალვათ ტრიბუნებს. მოკლედ, მატჩი ნახვად ღირდა.

თამაშის დალაგების და პირველი ლელოს მოლოდინში ბარე ნახევარი საათი გავიდა. „ლელოები“ ძირითადად თავს იცავდნენ და საკმაოდ დამაჯერებლადაც, თუმც არც ის ითქმის, სტუმრები თავს გვაკლავდნენ და არაფერი გამოსდიოდათო. ბურთი თამაშში ქართველებმა შეიტანეს და ერთ-ორ წუთში მეტოქეთა ლელოს რამდენიმე მეტრშიც მიუახლოვდნენ, მაგრამ შეცდომის გამო ბურთი დაიკარგა და სანამ მასპინძელთა დაცვა გონს მოვიდოდა, „ბარბაროსთა“ მოიერიშენი უკვე მათ ლელოსთან იყვნენ. აქ კი იყოჩაღეს ქართველებმა და ჩათვლის მოედანამდე ციმციმ მისული სტუმრები იქიდან ძალით გამოათრიეს.

პირველი ლელო მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში გავიდა და მთლიანად სტუმართა შავკანიან გარემარბ უგო მონიეს „სინდისზეა“, რომელიც მოხერხებულად დაუსხლტა ქართველ მბოჭავებს, ნახევარი მოედანი გადაჭრა და „ბარბაროსებს“ უპრობლემოდ ჩაუთვალა პირველი ხუთი ქულა, რომელსაც ინგლისელმა კრის მელოუნმა გარდასახვითი ორიც მიაყოლა — 0:7. მელოუნმა და მონიემ გამოაცხვეს მეორე ლელოც, პირველმა ორ თუ სამ დამცველს ზურგსუკან დაუკიდა, მეორემ დაიჭირა და კიდევ 7 ქულა ჩაიწერეს სტუმრებმა.

ყველანი მაღალი დონის მორაგბეები იყვნენ. „ბარბაროსებში“ უხეირო და შემთხვევითი არავინაა და გარჯას არავის დავუკარგავთ, მაგრამ სტუმრებმა ლელოები ძირითადად ქართული მხარის შეცდომების წყალობით გაიტანეს, თუმცა მათი ეშხიანი და მწყობრი ბურთაობა მეტოქეთა შეცდომების გარეშეც ალალ ალატაცებას იწვევდა.

ქართველებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაქვითეს ერთი ლელო — რეზო გიგაურმა ჯაჯგურში გაკვეთა ხაზი და გვარიანადაც აშალა „ბარბაროსთა“ დაცვა. შეტევის ბოლო ფაზაში კი ბარკალაიამ და მაჩხანელმა ზუსტად იგივე გააკეთეს, რაც რამდენიმე წუთის წინ მელოუნმა და მონიემ. ბარკალაიას დაკიდებული მაჩხანელმა ხელთ მოიგდო და ტრიბუნები აახმაურა. გარდასახვა კი ბარკალაიამ ჩაიწერა — 7:14 და ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ნახევარი ხეირიანად დაწყებული არ იყო, რომ ახლა ქართველებმა დასაჯეს „ბარბაროსელი“ — მაჩხანელმა მათი უხეირო პასი ქართულ ნახევარზე ჩაჭრა, 60-ოდ მეტრი ირბინა და თავისი მეორე ლელოც მიითვალა. ბარკალაიამ კვლავ გარდასახა და ანგარიშიც გათანაბრდა, თუმც მცირე ხნით. სტუმართა სათადარიგო გარემარბმა სტივ ჰენდლიმ კიდევ დაკიდებული ბურთი მოიხელთა და „ბარბაროსები“ დაწინაურდნენ. რამდენიმე წუთში სტუმრებმა კიდევ ერთ დაკიდებული ბურთი აქციეს ლელოდ. ამჯერად მათი მცველი ნილ ჰალეტი ხეირობს. მოკლედ, ასე ფეხით კენწლაობაში წყალი აიმღვრა და „ბარბაროსებმა“ იქ დიდი ძალდატანების გარეშე დაიჭირეს ლელოები.

ქართველები კი ხელდახელაც რიგიანად ბურთაობდნენ, რაღაც გამოსდიოდათ კიდეც, თუმც რამდენჯერმე მეტოქე მათივე 22-მეტრიან მოედანში რომ შეიმწყვდიეს, ბოლო იერიშები მამაპაპურად მოაწყვეს, ძალით სცადეს მეტოქის დაცვის შეგლეჯა. ეს მხოლოდ ერთხელ გამოუვიდათ, მატჩის ბოლო წუთებზე რამდენიმე დარტყმის შემდეგ მამუკა მაგრაქველიძემ დაამიწა. ყველა სხვა შემთხვევაში კი „ბარბაროსთა“ შერკინება შეუდრეკელად იდგა, თითქოს ქართულ მიწაში ფესვები გაიდგაო და არაერთხელ დაახევინა უკან ზედ ლელოსთან მისულ ქართველ ფორვარდებს, რომელთაც, სიმართლე აქაც ითქვას და რამდენიმე ძირითადი მორკინალი აკლდათ (შველიძე, ზერაქაშვილი, ზედგინიძე). სტუმრებმა შერკინებაც არაერთხელ დაგვიტრიალეს, აუტებიც აგვართვეს და მოლიანობაში ოსტატობის ხარჯზე საპატიო სხვაობით დაგვიმარცხეს „ბორჯღალოსნები“, რომელთაც ჯიგრიანი ბურთაობისთვის ისევ და ისევ დაუზარელი მადლობა ეკუთვნით.

**ირაკლი ფირაშვილი**

| საქართველო | | ბარბაროსები |
|---|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე (კაპ) | 15 | ნეილ ჰალეტი |
| ირაკლი მაჩხანელი | 14 | უგო მონიე |
| რევაზ გიგაური | 13 | ტონი მარში |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | ლი რობინსონი |
| ოთარ ელოშვილი | 11 | კევინ მაგსი |
| ოთარ ბარკალაია | 10 | კრის მელოუნი |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | ჯეიკობ რაულუნი |
| ბესიკ უდესიანი | 8 | ბობ სკინსტადი (კაპ) |
| რატი ურუშაძე | 7 | უილ სკინერი |
| ილია მაისურაძე | 6 | ბრედ მაკლეოდ-ჰენდერსონი |
| მამუკა გორგოძე | 5 | ჯეიმს ჰამილტონი |
| ლევან დათუნაშვილი | 4 | საიმონ მიალი |
| ავთო კოპალიანი | 3 | დარენ კრომპტონი |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | ოლივიე აზამი |
| მამუკა მაგრაქველიძე | 1 | ჯასტინ ფიცპატრიკი |
| **შეცვლაზე შევიდნენ** | | |
| დავით ხინჩაგაშვილი | 16 | პიტერ დიქსონი |
| მიხეილ სუჯაშვილი | 17 | კევინ ტკაჩუკი |
| შალვა პაპაშვილი | 18 | ჰოტი ლოუ |
| ზვიად მაისურაძე | 19 | დანიელ ბროუნი |
| გიორგი კაჭარავა | 20 | იან ვასი |
| ლექსო გუგავა | 21 | ლეონ ლოიდი |
| გიორგი ელიზბარაშვილი | 22 | სტივ ჰენდლი |

*3 ლელო: მაჩხანელი (2), მაგრაქველიძე • 4 ლელო: მონიე (2), ჰენდლი, ჰალეტი*
*2 გარდასახვა: ბარკალაია • 4 გარდასახვა: მელოუნი (3), ჰალეტი*



ორი ლელოს გამტანი უგო მონიე

გაგი კოკოლაძის ფოტო

# თბილისური არდადეგები



## ზაზა ფაჩულიას აივერსონი არ აღარდებს

**ზაზა ფაჩულია თბილისშია! ნბა-ში გატარებული მომქანცველი სეზონის შემდეგ ყველაზე წარმატებულმა ქართველმა კალათბურთელმა ტრადიციულად მშობლიურ ქალაქს მოაშურა და თვის ბოლოს ისევ ატლანტის გზას გაუყვება. ფაჩულიასთვის გასული სეზონი საუკეთესო იყო და ძნელია, ისეთი ქართველი სპორტსმენი მონახო, ვინც ბოლო წელიწადში ისეთივე პროგრესი განიცადა. ზაზამ „ატლანტას" ხუთეულში მყარად მოიკიდა ფეხი და ცოტაც რომ ეყოჩაღა, ვინძლო ნბა-ს ყველაზე განვითარებული მოთამაშის პრიზიც დაესაკუთრებინა. თუმცა, რასაც მიაღწია, ესეც საკმარისია და მით უფრო, რომ ფაჩულიას პროგრესმა თითქმის შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი შრომისა და მონდინების ხარჯზე ზაზა წლიდან წლამდე უმატებს და, როგორც ამასწინანდელ ინტერვიუში გვითხრა, მისი მორიგი ოცნება ოლ სტარის დაჭაშნიკებაა**

— თბილისში რამდენიმე კვირა გაჩერდები, თვის ბოლოს კი ლატვიაში წავალ, სადაც ნბა-ს კემპი იმართება და სხვა პროფესიონალ კალათბურთელებთან ერთად ვარ მიწვეული. ლატვიიდან პირდაპირ ამერიკაში გავემგზავრები და ნელნელა ვარჯიშს შევუდგები.

— **ასეთი მომქანცველი სეზონის შემდეგ მეტი დასვენება არ გჭირდება?**

— უკვე ერთი თვეა, არ მივარჯიშია და დროა შევუდგე მომავალი სეზონისთვის მზადებას. ფორმაში შესასვლელად და კუნთების გასაკაჟებლად თავიდან სპორტის სხვა სახეობებშიც მოვსინჯავ ძალას. ვივლი ცურვაზე და ვითამაშებ ჩოგბურთს, ხოლო როცა ჩვეულ სპორტულ ფორმაში ჩავდგები, უკვე ჩვეულებრივ, საკალათბურთო ვარჯიშებს შევუდგები.

— **„ატლანტა" შვებულებაშია და შენ სად ივარჯიშებ?**

— პირადი მწვრთნელი მყავს დაქირავებული და მისი მეთვალყურეობით დავიწყებ მზადებას. იგი ძალიან მცოდნე სპეციალისტია, გასულ სეზონში თითოეულ ჩემს მატჩს დაესწრო და ახლა სწორედ იმ მიმართულებით მავარჯიშებს, რაშიც პრობლემები მაქვს.

— **სეზონი კარგი გქონდა და პრობლემებს მაინც უჩივი?**

— ალბათ, არ არსებობს ახალგაზრდა კალათბურთელი, ვისაც რაიმე კომპონენტის დახვეწა არ სურდეს. კარგი სეზონი კი მქონდა, მაგრამ არის ისეთი ნიუანსებიც, რის გამოსწორებასაც ვისურვებდი.

— **და მაინც, რით იყო გამორჩეული შენთვის ეს სეზონი?**

— პირველ რიგში იმით, რომ „ატლანტაში", შესაბამისად კი ნბა-ში ფეხი მოვიკიდე. საკმარისზე მეტს ვთამაშობდი და სტატისტიკაც ერთიორად გავიუმჯობესე.

— **ალბათ, ამიტომაც იყო, შენით სხვა გუნდებიც რომ დაინტერესდნენ. ახლახან ამერიკულ პრესაში დაიწერა, ფაჩულია „დალასს" უნდაო.**

— არ ვიცი, პირადად მე არაფერი გამიგია. „ატლანტასთან" 4-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ჩემს სურვილზე არაფერია დამოკიდებული. მოლაპარაკებები ალბათ უშუალოდ კლუბებს შორის მიმდინარეობს და მე მაშინ გავიგებ, რომ სხვაგან გადავდივარ, როცა შეთანხმებას მიაღწევენ. არ ვიცი, „დალასს" ვუნდივარ თუ სხვა გუნდს, მე „ატლანტაშიც" კომფორტულად ვგრძნობ თავს.

— **ისე, ასარჩევად რომ გქონდეს, რომელ კლუბში გადახვიდოდი?**

— მინიმუმ ერთი სეზონი არსად არ წავიდოდი. მართალია, „ატლანტაში" უკვე ჩემი სიტყვა მეთქმის, მაგრამ კიდევ ერთი სეზონი მინდა, მყარად რომ მოვიკიდო ფეხი კლუბში და მთელ საკალათბურთო ლიგაში.

— **ამბობენ, „ატლანტაში" ალენ აივერსონი გადადისო. ეს შენთვის ცუდი იქნება თუ კარგი?**

— აივერსონის ჩვენთან გადმოსვლა რამდენად რეალურია, არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მე ჩემი საქმე მაქვს და საკუთარ გზას, გინდა აივერსონი მოვიდეს და გინდა, ბრაიანტი, მაინც ვიპოვი.

— **ბოლო სეზონში საგრძნობლად მოუმატე და მომავალშიც ასევე აპირებ?**

— ჩემი მიზანიც ეგაა. მიღწეულზე შეჩერება არ მჩვევია და მხოლოდ წინსვლისთვის ვიბრძოლებ. რა გამომივა, ეს უშუალოდ სეზონის განმავლობაში გამოჩნდება. მე რომ ცდას არ დავაკლებ, ამას თქმა არ უნდა. ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი სეზონთაშორისი პერიოდი მექნება, როგორ მოვემზადები და რა ფორმაში შევხვდები ახალ ჩემპიონატს. თანაც წინ ეროვნული ნაკრების თამაშებია და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

— **ნაკრებში ჩამოსვლის თარილი უკვე იცი?**

— კარგა ხანია, ფედერაციიდან არავინ შემხმიანებია და ჯერ არაფერი ვიცი. ალბათ, სანაკრებო პროგრამას მომცემენ და მეც იმის მიხედვით ვიმოქმედებ. როგორც ვიცი, აგვისტოში ვიკრიბებით და ამ დროისთვის უკვე მზად ვიქნები ჩამოსასვლელად.

— **ამერიკაში კალათბურთის გარდა სხვა რამითაც ხარ დაკავებული? შენ უკვე გამორჩეულ მოთამაშედ ითვლები და, ალბათ, სარეკლამო და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაერთვებოდი...**

— რა თქმა უნდა, მხოლოდ კალათბურთით არ შემოვიფარგლები. მაქვს რამდენიმე ძალიან სერიოზული შემოთავაზება სხვადასხვა ფირმებისგან, მაგრამ რა სახის თანამშრომლობაზეა ლაპარაკი და რა ფირმები არიან, ამის გახმაურება ჯერ არ მინდა. ამერიკაში რომ ჩავალ, ეს საკითხი მალევე გაირკვევა და მერე ყველა გაიგებს.

**ირაკლი პერტაია**

2006 NBA Playoffs

# ყამირელები

## სუპერფინალს უსახელონი მოხნავენ



AFP ფოტოქრონიკა

ჯეისონ ტერი და მარკ კუბანი: ფინალში ვართ, ბიჭო!

2 ივნისი

**აღმოსავლეთის ფინალი**

**დეტროიტი 2:4 მაიამი**

**მაიამი 95:78 დეტროიტი**

**მაიამი:** უილიამსი (21), ვეიდი (14), უოლკერი (11), ჰასლემი (8), ონილი (28 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება); პეიტონი (6), პოუზი (3 ქულა, 11 მოხსნა), შ. ანდერსონი (3), მურნინგი (1)

**დეტროიტი:** ბილაფსი (9), ჰამილტონი (33), პრინსი (10), რ. ვოლესი (10), ბ. ვოლესი (7), დელკი (7), ჰანტერი (2), მაკდაიერი, ევანსი

არავითარი ზეიმი და შამპანური... „მაიამი ჰითი" 18-წლიან არსებობაში პირველად გახდა აღმოსავლეთის ჩემპიონი და პირველად გავიდა დიდ ფინალში, მაგრამ ყოველგვარი გულყრების გარეშე გადაიტანა ეს „დარტყმა". ალბათ, იმიტომ, რომ შაკმა ინება ასე. „საქმე ჯერ არ მოგვითავებია!" — დაიბუხუნა „დეტროიტის" მეოთხედ და საბოლოოდ წამოქცევის შემდეგ შაკილ ონილმა, რომელსაც საჩემპიონო ბეჭდის გარდა სხვა ყველაფრის მოგება ჩალადაც არ უღირს. ახლა მან თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა წლევანდელ პლეი ოფში, თუმც ნამატჩევს ისე სერიოზული, თითქმის გულგრილი სახით დაბოტებდა, სხვებსაც აღარ გაუმართავთ დიდი ზარ-ზეიმი.

ძალიან იოლად მოიგო „მაიამიმ" ეს თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ბომბარდირი დუეინ ვეიდი სიცხიან-გრიპიანი ჰყავდა და მატჩამდე რამდენიმე საათი საავადმყოფოში მკურნალობის მოკლე კურსს იტარებდა. ვეიდის ნაცვლად ქულებს დაუნანებლად გამოვიდა უკანა ხაზში მისი მეწყვილე ჯეისონ უილიამსი, ხოლო შაკილ ონილმა უკვე პირველ ნახევარში მოიხვეჭა 19 ქულა და ტაიმი 47:36 მოაგებინა თავის გუნდს. მეორე ნახევარში „დეტროიტი" 10 ქულამდეც ვერ მიუახლოვდა აღმოსავლეთის ახალ მეფეს და ასე უსახურად დაემშვიდობა პლეი ოფს.

3 ივნისი

**დასავლეთის ფინალი**

**დალასი 4:2 ფინიქსი**

**ფინიქსი 93:102 დალასი**

**ფინიქსი:** ნეში (19 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ბელი (6), ტომასი (8), მერიონი (13 ქულა, 11 მოხსნა), დიაუ (30 ქულა, 11 მოხსნა), ბარბოსა (14), ჯონსი (3)

*ცძიტიშვილი* სათადარიგო იყო

**დალასი:** ტერი (17), ჰარისი (8), ჰოვარდი (20 ქულა, 15 მოხსნა), ნოვიცკი (24 ქულა, 10 მოხსნა), დიოპი (4); სტეკჰაუსი (9), გრიფინი (6), დანიელსი (4), ვან ჰორნი

ასეთი რამ 1971 წლის შემდეგ არ მომხდარა — ფინალის დებიუტანტ „მაიამი ჰითს" საჩემპიონო ჯახში ასევე დებიუტანტი „დალას მავერიქსი" შეხვდება. 35 წლის წინ ასეთი ორი უსახელო გუნდი იყო მომავალი ლეგენდის ქარიმ აბდულ ჯაბარის „მილუოკი" და „ბალტიმორი". თუმცა სახელიანობაზე და მდიდარ ისტორიაზე რომ იყოს დამოკიდებული, ფინალში „ლეიკერსის" და „ბოსტონის" გარდა არავინ უნდა გადიოდეს. მაგრამ ისტორიას ხომ ისეთი გუნდები ქმნიან, როგორც, მაგალითად, ეს „დალასია" ან თუნდაც „მაიამი". ამათ ისტორიას მომავალში წავიკითხავთ, ახლა კი მხოლოდ ის გვეთქმის, რომ ორივე ღირსეულად მოვიდა აქამდე და მათი საჩემპიონო ჯახი საინტერესო პლეი ოფის საინტერესო დასრულებული იქნება.

„მაიამისგან" განსხვავებით, „დალასმა" ერთობ გაიხარა კონფერენციაში გაჩემპიონებით და ეს არცაა გასაკვირი, მანამდე იმდენი მძიმე მატჩის გადატანა მოუხდა, ჯერ ჩემპიონ „სან ანტონიოსთან", შემდეგ კი „ფინიქსთან". სერიის მეექვსე მატჩი ბევრით ჰგავდა წინას — „ფინიქსი ახლაც გვარიანად ლიდერობდა, მასპინძელთა უპირატესობამ მეორე მეოთხედში 18 ქულასაც უწია, მაგრამ დალასელებმა კვლავ სასაწაული ჩაიდინეს და მეტოქეს სანახევროდ მოგებული თამაში დაათმობინეს. დირკ ნოვიცკის ამჯერად აღარ ჩაუგდია 50 ქულა, მოედანზე მყოფმა ყველა დალასელმა გული და სული ამოიღო და თითო აგურად დადო.

„ცხოვრებაში პირველად, სიტყვებს ვერ ვპოულობ..." — მეცხრე ცაზე დაფრინავდა „დალასის" ეგოცენტრული მფლობელი მარკ კუბანი, ვინც 90-იან წლებში ეს კლუბი გავერანებულ და გატიალებულ მდგომარეობაში იყიდა და ნახეთ, სადამდე მოიყვანა.

სტივ ნეშმა და მისმა „ფინიქსმა" კი ზედიზედ მეორედ წააგეს დასავლეთის ფინალი.

**კოტე ყორშია**




მესელეტ დეფარი

# რეკორდი მარტო ლიგამ არ იცის

**ნორვეგიულ** უჟმურ ამინდში დაიწყო ოქროს ლიგის ექვსეტაპიანი გათამაშება. საკმაოდ საგრძნობ პირქარში მსოფლიო რეკორდის ხსენებაც არ ყოფილა, მაგრამ აი, ერთი ეროვნული რეკორდი კი გამოცხვა — ნორვეგიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანდრეას ტორკილდსენმა შუბი 91,50 მეტრზე გატყორცნა და ნორვეგიის ყველა დროის რეკორდი პირად ანგარიშზე ჩაიწერა, ამასთან, ეს მაჩვენებელი სეზონის საყოველთაო რეკორდია.

მსოფლიოს უსწრაფეს მორბენალთა შეჯიბრში კი თავისი კლასი დაამტკიცა იამაიკელმა ასაფა პაუელმა, რომელმაც 100 მეტრზე რბენის რეკორდი შარშან 9,77 წამამდე შეამცირა, ხოლო წლეულს ეს შედეგი გაიმეორა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯასტინ გატლინმა. ოსლოში პაუელის ამ შედეგის გაუმჯობესებაზე არც უფიქრია. ამიტომაც ის სავსებით კმყოფილი დარჩა 9,96 წამით, მით უფრო, რომ 10-წამიან ზღვარს სხვა ვერავინ ჩამოსცდა.

ხელი, უფრო სწორად კი, ფეხი მოეცარა 5000 მეტრის რეკორდსმენს, ჩემპიონს და, მოკლედ, მეფეს კენენისა ბეკელეს. ეთიოპიელს თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მისდიოდა,. მისი უმცროსი ძმა ტარიკუ წინ მირბოდა და გზას უთავისუფლებდა, მაგრამ ბოლო 400 მეტრზე ამათ რაღაც დაემართათ, ნაბიჯს უკლეს და წინ გაუშვეს კენიელი ისააკ სონგოკი (12 წუთი, 45,·79 წამი). კენენისა 2,5 წამით ჩამორჩა კენიელს.

ამ უქმეებზე ერთი მსოფლიოს რეკორდი მაინც გამოცხვა, მხოლოდ არა ოსლოში, არამედ ნიუ იორკში. ეთიოპიელმა შავ-შავმა ქალბატონმა მესელეტ დეფარმა 5000 მეტრი 14 წუთსა და 29,53 წამში გაირბინა.

**კოტე ყორშია**



**როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $**

# დინარამ, დამ მარატისამ...

3 ივნისი

### კაცები

### მესამე წრე

**ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (11, ჩეხეთი) 5:7 7:5 7:6 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (14, ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი (22, სლოვაკეთი) 7:6 6:2 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (29, საფრანგეთი) 5:7 6:4 6:4 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (27, ბელგია) 7:5 4:6 6:7 6:1 6:4; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) 7:6 7:5 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — ტომი ჰაასი (23, გერმანია) 7:5 6:1 7:6

### ქალები

### მესამე წრე

**დანიელა ჰანტუხოვა** (15, სლოვაკეთი) — ნატალი დეში (21, საფრანგეთი) 6:3 3:6 10:8; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (5, ბელგია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:4 6:0; **ანასტასია მისკინა** (10, რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (19, სერბეთი) 6:2 6:3; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:3 6:4; **ანა-ლენა გრონეფელდი** (13, გერმანია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:2 7:6; **გიზელა დულკო** (32, არგენტინა) — შენეი პერი (აშშ) 6:1 6:1; **შაჰარ პირი** (31, ისრაელი) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 6:4 7:5

4 ივნისი

### კაცები

### მესამე წრე

**ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) — ხუან მონაკო (არგენტინა) 4:6 5:7 6:3 6:4 6:2; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 6:2 6:7 7:6 5:7 6:4

### მეოთხე წრე

**მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 6:4 4:6 2:6 6:4 7:5; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომაშ ბერდიხი (20, ჩეხეთი) 6:3 6:2 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — გასტონ გაუდიო (10, არგენტინა) 6:3 6:4 3:6 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:4 6:4 6:4

### ქალები

### მეოთხე წრე

**დინარა საფინა** (14, რუსეთი) — მარია შარაპოვა (4, რუსეთი) 7:5 2:6 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (9, იტალია) 1:6 6:4 6:4; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (15, სლოვაკეთი) — 6:1 6:4; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 4:6 6:3 6:2; ნიკოლ ვაიდიშოვა (16, ჩეხეთი) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — 6:7 6:1 6:2; **ანა-ლენა გრონეფელდი** (13, გერმანია) — გიზელა დულკო (32, არგენტინა) 6:3 6:4; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (5, ბელგია) — ანასტასია მისკინა (10, რუსეთი) 6:1 6:4; მარტინა ჰინგისი (12, შვეიცარია) — შაჰარ პირი (31, ისრაელი) 6:3 2:6 (გადაიდო)



AFP ფოტოქრონიკა

**რაფაელ ნადალმა** წარმატებით თავისი პირველი სერიოზული საამპარიზო გამოცდა ჩააბარა. ესპანელი მესამე წრემდე ძალიან იოლად მივიდა, მაგრამ აქ მასს პოლ-ანრი მატიოს სახით სერიოზული მეტოქე დახვდა.

‘ტრიბუნების გიჟური მხარდაჭერით გახელებულმა მატიომ ალბათ კარიერის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა და „გრუნტის მეფედ“ წოდებულ ნადალს ტოლი არ დაუდო. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგი უფრო მეტად უტევდა და ზეწოლის ქვეშ სწორედაც რომ ესპანელი იმყოფებოდა.

ნადალი მალევე მიხვდა, რომ მატიოს გიჟური ტემპისთვის აყოლა კარგს არაფერს მოუტანდა და ამიტომ თამაში კონტრშეტევებზე აგო. როგორც აღმოჩნდა, პირენეელს სწორი გადაწყვეტილება მიუღია. რაფაელმა ამ თამაშში ყველას დაანახვა, რომ კონკრეტული შეხვედრის განმავლობაშიც შეუძლია ტაქტიკის შეცვლა - ნადალმა ესპანური სახოგბურთო სკოლის საუკეთესო ტრადიციებში ითამაშა, როცა მატიოს მწვავე კომბინაციებისა და ყველა უძლიერესი დარტყმის მოგერიებას ახერხებდა და ასე, კონტრშეტევებით წყობიდან გამოჰყავდა მეტოქე.

ნადალს მეოთხე წრეში არცთუ იოლი გასეირნება ელოდება, რადგანაც ფორმააკრეფილ ლეიტონ ჰიუიტთან ელის „პაემანი“. ავსტრალიელი კი აღარ ხუმრობს და მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო მაღალი დონის თამაშს აჩვენებს. ამჯერად ოზმა დომინიკ ჰრბატი სამ სეტში გაანადგურა.

ეს ყველაფერი შაბათს იყო, ხოლო კვირას კიდევ უფრო საინტერესო ამბები მოხდა.

ნამდვილი სასწაული ვიხილეთ ცენტრალურ კორტზე, რომლის ავტორობა დინარა საფინამ ითავა. მან გადამწყვეტ სეტში 1:5-დან ჩამორჩენა აღმოფხვრა და თან ვისთან, მარია შარაპოვასთან, რაც ერთიორად დასაფასებელს ხდის საფინას გმირობას.

ასეთი სასწაულების ჩადენა, ზოგადად შარაპოვას ახასიათებს ხოლმე, მაგრამ ამჯერად მარია წაგებულის ამპლუაში აღმოჩნდა. ისე კი იშვიათად ყოფილა, ყოველთვის ბოლომდე მებრძოლ შარაპოვას ასეთი უპირატესობა გაეშვას ხელიდან. თუმცა რუს პრიმას საკუთარი თავის გარდა არავის დადანაშაულება არ შეუძლია - 63 უნებლიე შეცდომის დაშვება მის სტატუსს ნამდვილად არ ეპატიება.

დინარა საფინა კი თავისი დიდი ძმის - მარატის ჩრდილიდან თანდათანობით გამოდის. დინარამ წლეულს კარგი საგრუნტო სეზონი ჩაატარა და პარიზშიც მშვენივრად გამოიყურება. ეს თამაში კი საფინთა ოჯახის უმცროსმა წარმომადგენელმა მთლიანად საკუთარი ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მოიგო.

დინარამ პირველივე სეტში ჩაიდინა მინი-სასწაული, როცა 5-3 წინ გაქცეულ შარაპოვას ზედიზედ ოთხი გეიმი მოუგო და დაწინაურდა. მეორე პარტიაში მარიამ აშკარად დაჯაბნა მეტოქე და ანგარიში მალევე გაათანაბრა.

ამავე სცენარით დაიწყო მესამე სეტიც, სადაც შარაპოვას უპირატესობა ძალიან დიდი იყო და მალე ანგარიში 5:1 გახდა კიდეც, მაგრამ აქ დაიწყო და რა დაიწყო - აქამდე თითქოს ძალაგამოცლილმა საფინამ ტემპს უმატა და უშეცდომოდ ათამაშდა. ამ მომენტიდან მოყოლებული შარაპოვამ მხოლოდ ექვსი(!!!) გათამაშება მოიგო, დინარამ კი ექვსი გეიმი და წლევანდელი გათამაშების მთავარი სასწაულმოქმედიც შეიქმნა.

„უბრალოდ, ზეწოლა გავაძლიერე მეტოქეზე. მანამდე თამაშის პირობებს მარია კარნახობდა, მე კი კუთხიდან კუთხეში სირბილი მიწევდა. ჰოდა, ვიფიქრე, ახლა დროა, მან ირბინოს-მეთქი და უფრო აგრესიულად ავთამაშდი“ — ასე მარტივად ახსნა თავისი სასწაული საფინამ. ჰო, მართლა, პირველმა წარმატება დას მარატმა მიულოცა.

საფინა მეოთხედფინალში კიდევ ერთ რუსს სვეტლანა კუზნეცოვას შეხვდება, რომელმაც კინაღამ შარაპოვას „გმირობა“ გაიმეორა. გადამწყვეტ პარტიაში სლავი ფრანჩესკა სკიავონეს 5:1-ს უგებდა, მაგრამ იტალიელს საშუალება მისცა მინიმუმამდე დაეყვანა სხვაობა. თუმც მარიასგან განსხვავებით, კუზნეცოვამ დროულად მოახერხა გონზე მოსვლა, კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და მეოთხედფინალის საგზურიც გამოიწერა.

კაცებში კი კვირა დღემ ხორვატული ნიშნით ჩაიარა — მარიო ანჩიჩი და ივან ლიუბიჩიჩი ყველა პროგნოზის საპირისპიროდ გრუნტზეც მშვენივრად თამაშობენ.

ლიუბიჩიჩმა ორ დღეზე გაწელილ შეხვედრაში ხუან მონაკოს ორ სეტიანი ჩამორჩენა გააბათილა და მეოთხე წრესაც უწია.

ანჩიჩმა კი ხმამაღალი სენსაცია გამოაცხო - ხორვატმა პარიზში ფავორიტის სტატუსით ჩასული ტომი რობრედო დაიფრინა და ესპანელის მაღალ მიზნებს დიდი წერტილიც დაუსვა. თანამემამულისგან განსხვავებით, მარიო უკვე მეოთხედფინალშია და იქ როჯერ ფედერერთან მოელის ტეტ-ა-ტეტ შეხვედრა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# პარიზი თვალეგში, გუნმა თავში

**ალექსანდრე მეტრეველის** დიდი ეპოქა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა და ახლა ქართული ჩოგბურთის საქმე ისეა, რომ იქით როლან გაროსია გახურებული, საქმე მეოთხედფინალებამდე მივიდა და ჩვენ ის გვიხარია, ანა ტატიშვილი და ირაკლი ლაბაძე 25-ათას დოლარიანი ტურნირების ნახევარფინალებში რომ გავიდნენ.

რა თქმა უნდა, სულ სხვა დონეა, მაგრამ ნორჩი ანას წარმატებული თამაში იაპონიის ქალაქ გუნმას ხალიჩის კორტებზე მართლა გასახარია. დიდი ამერიკელის კრის ევერტის საჩოგბურთო აკადემიაში მოვარჯიშე პატარა ქართველი კვირიდან კვირამდე მაღლა იწევს WTA-ს კლასიფიკაციაში და გუნმას ტურნირის ნახევარფინალში გასვლით. ანამ შესაძლოა, რეიტინგების პირველ სამასეულშიც შეაბიჯოს. იმის გათვალისწინებით, რომ სეზონის დასაწყისში ტატიშვილი 1151-ე იყო, ხოლო ამ წუთისთვის, სადღაც მესამე ადგილის სიახლოვეს იმყოფება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ჩოგბურთს ისეთი ოსტატი ეზრდება, რომელიც მალე სლემტურნირების, მინიმუმ საამწუთო საროლანგაროსო ეტაპს, ანუ მეოთხედფინალსაც უწევს.

ეს იმედი სამომავლოდ, ხოლო გუნმაში ანამ სამ მეტოქეს მოუგო და ნახევარიფნლაში კი ველარაფერი მოუხერხა მომავალ გამარჯვებულს, ამერიკელ ებიჯეილ სპერსს.

გერმანულ ქალაქ ეტლანგენის გრუნტზე ნახევარფინალში შეჩერდა ირალკი ლაბაძეც, ვისაც, ტატიშვილს ჯვარი სწერია და ჩვენი იმედებით, ჰქამდე არაერთგზის უნდა ეყოჩალა სლემტურნირებზე, ახლა კი, სასლემოებს ვინ ჩივის, ოდესღაც იუნიორთა დონეზე თვით როჯერ ფედერერის კონკურენტი სადღაც ჩელენჯერებზე თამაშობს და ნახევარფინალში გასვლით გვახარებს.

სამწუხაროდ, ირაკლიმ ეტლინგენიდან მეტით ვერ გაგვახარა და ტურნირის პირველ ნომერთან, ATP-ის რეიტინგში 93-ე ადგილზე მყოფ გერმანელ სიმონ გრეულთან მატჩი პირველივე სეტში ტრავმის გამო შეწყვიტა. არადა, 9 ივნისს ლაბაძეს 25 წელი უსრულდება და მას შეეძლო, ეს იუბილე თუნდაც მესამეხარისხოვანი, მაგრამ ტიტულით აღენიშნა. არ გამოვიდა. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ დაბადების დღეს თანამედროვეობის საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი გაცილებით უკეთეს ხასიათზე შეხვდება.

*ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული სპორტსმენისგან დიდი შედეგის ჩვენებას გამორჩეული ხიბლი აქვს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ტრავმამ წლები გააცდენინა და ამ ხნის განმავლობაში მისგან არათუ სპორტში დაბრუნებას, ნორმალურად ფეხზე დადგომასაც აღარ ელოდნენ. მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ზვიად ხანჯალიაშვილი ტატამს 2004 წლის გაზაფხულზე დაემშვიდობა, წლეულს დაბრუნდა და უმალ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობაში მოხვედრაზე დაიწყო ფიქრი. იმედი აპრილის ბოლოს, ლისაბონში გადაეწურა, როცა უშუალო კონკურენტ ლაშა გუჯეჯიანთან დამარცხდა, თუმცა ევროტატამზე გასვლა მაინც შეძლო, თან ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა — ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გუჯეჯიანმა ტრავმა მიიღო...*


გურამ [illegible] ფოტო

# ხეიბრობა? არა, მედალი!
## უიღბლობის იღბლიანი დასასრული

— ბოლო მოსამზადებელი შეკრების ბოლო ვარჯიშზე მითხრეს, რომ ფინეთში მივდიოდი. ყურებს არ დავუჯერე, დავიბენი. წარმოუდგენელი რამ მოხდა. სპორტში ასეთი რამ არცთუ იშვიათია, მაგრამ ძირითადად ტურნირამდე ორი-სამი კვირით ადრე მაინც ირკვევა ხოლმე ყველაფერი. ახლა კი...

**— ტრავმის გამო ნაკრებიდან ამოვარდნის სიმწარე შენც გამოგიცდია?**

— კარგად მესმის გუჯეჯიანის. ათენის ოლიმპიადის წინ ლიცენზია განაღდებული მქონდა და ოცნებებში უკვე საბერძნეთში ვიყავი, მაგრამ გერმანულ ტურნირზე მოულოდნელად ისეთი ტრავმა მივიღე, ოლიმპიადაც გვერდზე დამრჩა და კინაღამ სპორტული კარიერაც დავასრულე.

**— ორი წელი გაგიცდა. ბევრმა შენზე ხელიც ჩაიქნია. გჯეროდა, რომ დიდ ტატამზე წარმატებით ჭიდაობას მაინც შეძლებდი?**

— ამის რწმენა რომ არ მქონოდა, ალბათ, გავგიჟდებოდი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე ექიმებმა საშინელი პროგნოზი გააკეთეს. კოჭლი უნდა დავრჩენილიყავი, თუმც ჩვენი ოლიმპიური გუნდის ექიმის ზურაბ კახაბრიშვილის დახმარებით გერმანიაში გავემგზავრე და იქაურ ცნობილ პროფესორთან ორი ოპერაცია გავიკეთე. წარმოიდგინეთ, მანაც კი აღნიშნა, ასეთი მძიმე დაზიანება პრაქტიკაში ერთი-ორჯერ თუ შემხვედრიაო. მუხლი ფაქტობრივად სულ დაშლილი მქონდა. საბედნიეროდ, ოპერაციებმა კარგად ჩაიარა და ნელ-ნელა ფეხზეც დავდექი. შარშან შემოდგომიდან უკვე ვარჯიშიც განვაახლე, წლეულს კი ტატამზეც გავედი.

**— მსოფლიოს თასის რამდენიმე ეტაპზე იჭიდავე და საკმაოდ წარმატებითაც.**

— მედლებიც ავიღე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიოს თასებზე გამოსვლით კმაყოფილი დავრჩი. პრაღისა და ლისაბონის ტურნირებზე ჩავარდნები მქონდა. პორტუგალიაში სულაც ჩემს მთავარ კონკურენტთან დავმარცხდი და ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის შანსი დავკარგე. ეს აპრილში იყო. მერე კი რა როგორ მოხდა, უკვე თავადაც იცით.

**— იყო ეჭვი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა ფსიქოლოგიურად გაგიჭირდებოდა. პირველსავე წრეში მარცხს ამას ხომ არ აბრალებ?**

— მედალზე თავიდანვე ვფიქრობდი. ასე რომ, ფსიქოლოგიური ბარიერი ფინეთში წასვლამდე გადავლახე, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავიხსენი. უხერხულ მოწინააღმდეგესთან დავმარცხდი, თუმცა მეორე-მესამე წრეში რომ შევხვედროდი, აუცილებლად მოვუგებდი. რეპეშაჟში გადავერთე და ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ბრინჯაოს ავიღებდი.

**— რეპეშაჟში მსოფლიოს ჩემპიონი, ჰოლანდიელი ვან დერ ჰესტი ჩამოიცილე. ამ გამარჯვების შემდეგ, ალბათ, საბოლოოდ ირწმუნე, რომ ვეღარავინ შეგაჩერებდა...**

— ასეც ვერ ვიტყვი. მეტოქეს ტიტულების მიხედვით არასოდეს ვაფასებ. ჰესტი ჩვეულებრივი კონკურენტი იყო და მასთან წლების წინანდელი მარცხის გამო რევანში მქონდა ასაღები, ისევე როგორც ფრანგი რობენისთვის, რომელსაც ჰესტის მერე მოვუგე. არ ვთვლი, რომ საუკეთესო ფორმაში ვიყავი, მაგრამ მესამე ადგილზე უკეთესი შედეგის ჩვენება მაინც შემეძლო. არა უშავს, შემოდგომაზე ევროპის აბსოლუტური პირველობაა...

**— მასზე საჭიდაოდ მძიმე შიდა კონკურენციის გადალახვა მოგიწევს...**

— გუჯეჯიანი და ადამ ოქრუაშვილი ძალიან ძლიერი კონკურენტები არიან, ვმეგობრობთ, მაგრამ ხალიჩაზე უპირატესობის დასამტკიცებლად თავს არც ერთი არ დავზოგავთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

### XII ტური

**კაცები**

საქართველო 2,5:1,5 მოლდოვა

| | | |
|---|---|---|
| ბაადურ ჯობავა | 1:0 | ვიქტორ ბოლოგანი |
| გიგა ყაჭეიშვილი | 0:1 | ვიორელ იორდაჩესკუ |
| მერაბ გაგუნაშვილი | 0,5:0,5 | დმიტრი სვეტუშკინი |
| თამაზ გელაშვილი | 1:0 | ვასილ სანდულეცი |

**ქალები**

სომხეთი 2:1 საქართველო

| | | |
|---|---|---|
| ლილიტ მკრტჩიანი | 1:0 | ნინო ხურციძე |
| ელინა დანიელიანი | 0:1 | ნანა ძაგნიძე |
| სირანუშ ანდრიასიანი | 1:0 | ლელა ჯავახიშვილი |

### XIII ტური

**კაცები**

კუბა 2:2 საქართველო

| | | |
|---|---|---|
| ლაზარო ბრუზონი | 1:0 | ბაადურ ჯობავა |
| ლეინერ პერეზ დომინგესი | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია |
| ხესუს სანტიაგო ნოგუეირა | 0:1 | მერაბ გაგუნაშვილი |
| ვალტერ როდრიგეს არენსიბია | 0,5:0,5 | თამაზ გელაშვილი |

**ქალები**

პოლონეთი 0,5:2,5 საქართველო

| | | |
|---|---|---|
| ივეტა რაძიევიჩი | 0:1 | ნანა ძაგნიძე |
| მარტა პჟეჟდისკა | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი |
| იოანა მაიდანი | 0,5:0,5 | მაია ლომინეიშვილი |

# დრო და მომენტი
## ქართული ჭადრაკი წარსულს დაშორდა

**საქართველოს** ვაჟთა ნაკრებმა ბოლო ტურში კუბელებთან 2:2 ითამაშა, 31 ქულა მოაგროვა და მეთერთმეტე-მეთოთხმეტე ადგილები გაიყო. ტურინში წასვლამდე ქართველი დიდოსტატები ათეულში მოხვედრას გეგმავდნენ და ერთი ქულით მეტი რომ დაეგროვებინათ პროგრამა მინიმუმსაც შეასრულებდნენ. ჩვენებიდან ბოლო ტურში მერაბ გაგუნაშვილმა იმარჯვა, მან შავი ფიგურებით სანტიაგო ხესუს ნოგუეირა დაამარცხა და გუნდიც წაგებას გადაარჩინა. ოქროს მედლები სომხეთის ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა. ჩვენმა მეზობლებმა 36 ქულა აიღეს და მდევარ ჩინეთს ორით აჯობეს.


ნანა ძანგიძე

წარუმატებლად იასპარეზეს ჩვენმა ქალებმაც. ოლიმპიადის დაწყებამდე ქართველები რეიტინგით მესამე ადგილზე იყვნენ, თუმც საბოლოოდ მეოთხე-მეათე ადგილებს დასჯერდნენ. ბოლო ტურში ქართველებს მედლების მოპოვების შანსი ფაქტობრივად უკვე დაკარგული ჰქონდათ და პოლონელებთან მხოლოდ პრესტიჟის საქმელა იყო. ჩვენებმაც თავი არ შეირცხვინეს და სლავები 2,5:0,5 დააამარცხეს. ქართველებიდან იმარჯვეს ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა.

ჩემპიონები 29,5 ქულით უკრაინელები გახდნენ, მეორეზე კი რუსეთი გავიდა 28 ქულით.

**ლაშა გეგეჭკორი**

### საბოლოო მდგომარეობა

**კაცები**

| | |
|---|---|
| 1. სომხეთი | 36 ქულა |
| 2. ჩინეთი | 34 |
| 3.აშშ | 33 |
| 4. ისრაელი | 32,5 |
| 5. უნგრეთი | 32,5 |
| 14. საქართველო | 31 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. უკრაინა | 29,5 |
| 2. რუსეთი | 28 |
| 3. ჩინეთი | 27,5 |
| 4. აშშ | 24,5 |
| 5. უნგრეთი | 24,5 |
| 6. საქართველო | 24,5 |

# აზმაიფარაშვილი ილუმჟინოვთან დარჩა



კირსან ილუმჟინოვი ფიდეს პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს. კენჭისყრაში მან 96 ხმა მოაგროვა და ერთადერთ კონკურენტ, ჰოლანდიელ მილიონერ ბესელ კოკს 42-ით აჯობა. არჩევნები ტურინში ოლიმპიადის პარალელურად ჩატარდება.

მომდევნო დღეს ილუმჟინოვმა სამი ვიცე-პრეზიდენტი დაასახელა — ზურაბ აზმაიფარაშვილი, ლიბიელი ნიზარ ელ ჰაჯი და ყატარელი ხალიფა ალ ჰიტმი.



## ევროპის ახალგაზრდული (U-18) ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ლოზნიცა. სერბეთი . 2-4 ივნისი

# საქართველომ ესტონეთი ლოზნიცაში დაკარგა

**2 ივნისი**

**უნგრეთი 34:24 საქართველო**
**სერბეთი 34:19 პორტუგალია**

**3 ივნისი**

**სერბეთი 26:17 საქართველო**
**პორტუგალია 22:21 უნგრეთი**

**4 ივნისი**

**პორტუგალია 38:21 საქართველო**
**უნგრეთი 30:25 სერბეთი**

**საქართველოს** 18-წლამდელ ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრებმა, სამწუხაროდ, სამივე მატჩი წააგო სერბეთის ქალაქ ლოზნიცაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩავ ტურნირზე.

ახალგაზრდა მწვრთნელის ბექა ორჯონიკიძის ბიჭები პარასკევს ათი ბურთით დამარცხდნენ უნგრელებთან, მეორე დღეს კი — მასპინძლებთან თითქმის ისეთივე სხვაობით.

გუშინ, დასკვნით ტურში, ქართველი ხელბურთელები პორტუგალიელებმაც დაჯაბნეს და ისე გამოვიდა, რომ ჩვენებს 100 გაშვებულ გოლამდე ორიღა დააკლდათ. უნგრელებმა კი სერბებს სძლიეს და მათთან ერთად ესტონეთში, ფინალურ ტურნირზე თამაშის უფლება მოიპოვეს პორტუგალიელებთან ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *სერბეთი* | 2 | 0 | 1 | 85:66 | 4 |
| *უნგრეთი* | 2 | 0 | 1 | 85:71 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 79:76 | 4 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | 62:98 | 0 |

# ამხანაგური მატჩები

**ბრაზილია 4:0 ახალი ზელანდია**
1:0 რონალდო (43), 2:0 ადრიანო (51), 3:0 კაკა (86), 4:0 ჟუნინიო (90)
**ბრაზილია:** დიდა, კაფუ (სისინიო 76), ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი (ჟუნინიო 65), კაკა, ემერსონი (ჟილბერტო სილვა 65), ზე რობერტო (ჟილბერტო 65), რონალდინიო (რიკარდინიო 75), რონალდო (რობინიო 46), ადრიანო
მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

**იაპონია 1:0 მალტა**
1:0 ტამადა (2)
**იაპონია:** კავაგუჩი, კომანო, მიამოტო, ნაკაზავა, სანტოსი (კ. ნაკატა 59), ცუბოი (ონო 46), ფუკუნიში (ინამოტო 69), ნაკამურა, ჰ. ნაკატა, ოგურო (მაკი 69), ტამადა (ოგასავარა 61)
მწვრთნელი: ზიკო

**სამხრეთ კორეა 1:3 განა**
0:1 გიანი (35პ), 1:1 ე. ლი (49), 1:2 მუნტარი (62), 1:3 ესიენი (81)
**სამხრეთ კორეა:** ვ. ლი, ჯ. კიმი (ს. კიმი 51), ი. კიმი, ი. ლი, სონგი, ჰ. ლი, ე. ლი (სეოლი 81), ჯ. პარკი (ნ. კიმი 81), ანი (ჩო 46), ჩ. ლი, ჩ. პარკი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
**განა:** კინგსტონი (აჯეი 46), მენსა, პანცილი, პაპოე, შილა, ე. ადო, აპია, ესიენი, მუნტარი, მ. ამოა (პიმპონგი 82), გიანი
მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

**კოტ დივუარი 3:0 სლოვენია**
1:0, 2:0 დროგბა (35, 36), 3:0 აკალე (70)
**კოტ დივუარი:** ტიზიე, ებუე, კ. ტურე (დომორო 64), ბოკა, მეიტე, ი. ტურე (ფაე 64), იაპი იაპო (ბ. კალუ 46), ზოკორა, აკალე (ა. კეიტა 74), დროგბა (რომარიკი 78), დინდანე (ბ. კონე 64)
მწვრთნელი: ანრი მიშელი

**მაკედონია 1:0 თურქეთი**
**კოლუმბია 1:0 მაროკო**
**მაკაო 0:0 ჰონკონგი**
**მალაიზია 0:0 სინგაპური**
**ალჟირი 1:0 სუდანი**
**არგენტინა — საუდის არაბეთი**
გადაიდო



AFP



სიხარულის რეპეტიცია: ადრიანო სამუნდიალო გოლებისთვის ემზადება, ტორსიდის ლამაზმანები — სიხარულისთვის



AFP

დროგბამ სლოვენიას ორი შეუგდო



AFP

სამხრეთკორეელი მეკარე განელებიდან პირველმა ასამოა გიანმა დააღონა

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

### ფინალი

**ჰოლანდია 3:0 უკრაინა**
1:0, 2:0 ჰუნტელაარი (11, 43პ), 3:0 ჰოფსი (90)
**ჰოლანდია:** ვერმეერი, ტიენდალი, ვლაარი, ლუირინკი, ემანუელსონი, აისატი (ზომერი 79), დე ზეუვი, შაარსი, ჰოფსი, ჰუნტელაარი, კასტელენი (დე რიდერი 69)
მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი
**უკრაინა:** პიატოვი, იარმაში, ჩიგრინსკი, იაცენკო, რომანჩუკი, მიხალიკი, გოდინი (ფესჩუკი 46), ჩებერიაჩკო, მაქსიმოვი, მილევსკი, ფომინი (ალიევი 46)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: რომანჩუკი, იარმაში, იაცენკო, ფესჩუკი, ვლაარი, რომანჩუკი
გაძევება: რომანჩუკი (77)
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
30 000 მაყურებელი



AFP




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge